12

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

დღიური

საფრანგეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დაიდო ისეთი ხასიათის ხელშეკრულება, როგორიც საფრანგეთსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის.

თურქესტანში 4 იანვარს ხელახლა მოხდა მიწისძვრა.

პოლონეთის ხაზინის [illegible] 1924 წლის [illegible] იანვრისათვის 91 მილიად ოქროს მარკას უდრიდა.

ინგლისის კომპარტიამ [illegible] ინგლისის მუშათა პარტიას თუ კი ის მუშურ მთავრობას შეადგენს.

ვენიზელოსი არ შეადგენს საბერძნეთის მთავრობას.

აპრილში შეიკრიბება ინგლისის კომპარტიის ყრილობა.

№ 6 (859) სამშაბათი, 8 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 7 (859)

სამშაბათს, რვა იანვარს საღამოს შვიდ საათზე სასახლეში
შ ე ს დ გ ე ბ ა
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

პრეზიდიუმის სხდომა

(ახალი შემადგენლობის)

დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა
სრულიად ცენტ. აღმას. მდივანი **ხახაშვილი.**
ნის. № 825—1—1

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ **პარასკევს, 11 იანვარს**

ერთიან პარტიულ დღეს

დასმულ იქნეს დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1) **ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები.**
2) **საქართველოს კომპარტიის ცეკას პლენუმის დადგენილებები.**

მასალებად გამოყენებულ იქნეს რუსეთის კომპარტიის ცეკას რეზოლიუცია, რომელიც დაიბეჭდა 1 იანვარს გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში № 1, გაზ. „კომუნისტ"-ში № 3, 4 იანვარს, „მარტაკოჩში" № 2 4 იანვარს და 3-დან 5 იანვრამდე და აგრეთვე ამხ. კამენევის სიტყვა („პრავდა" 30 დეკემბერი).

მეორე საკითხის შესახებ მასალებს მიიღებენ რაიკომები ხუთშაბათიდან.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუხაძე.

ახალი ხანა გერმანიის პროფკავშირების ცხოვრებაში

(ვეიმარის კონფერენციის გამო)

ეჭვს გარეშეა, რომ ვეიმარის კონფერენციამ, სადაც შეიკრიბნენ ოპოზიციონური ნაწილები გერმანიის პროფკავშირებისა, მისცა დასაწყისი ახალ ხანას ამ ქვეყნის მუშათა მოძრაობაში ლოზუნგი, რომელიც ისროლა კონფერენციამ, არ დარჩა უშედეგოთ. პირიქით: ის გამოხმაურება, რომელიც ჰპოვა მან კავშირებში, მოწმობს იმაზე, რომ კონფერენციამ სწორათ აუღო ალღო გერმანიის მუშათა მოძრაობის დღევანდელ საჭიროებას, რომ მან მისცა პასუხი ამ მოძრაობის საჭირბოროტო კითხვებზე. ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში დაბეჭდილი ტელეგრამა, იმის შესახებ, რომ მთელ რიგ პროფკავშირებს გამოაქვთ ამ კონფერენციისადმი თანაგრძნობის რეზოლიუციები, ადასტურებენ ამ აზრს.

ვეიმარის კონფერენცია „ახალი ამბავი" არ არის. მას ადგილი ჰქონდა წარსული წლის ნოემბრის ოცდაათში. მაგრამ განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში შეიქნა ცხადი ის ისტორიული როლი, რომელიც მოწოდებულია ითამაშოს მან გერმანიის პროფკავშირთა ცხოვრებაში.

რა მოხდა ვეიმარში?

იქ შეიკრიბნენ რეფორმისტული (მენშევიკური) პროფკავშირებისადმი ოპოზიციონურათ განწყობილი კავშირების წარმომადგენლები რიცხვით ორას ოთხმოცამდე. მათ შორის 225 დელეგატი წარმოადგენდენ 181 სხვადასხვა ადგილობრივ პროფორგანიზაციას, 40 დელეგატი იყვნენ 17 სხვადასხვა კავშირიდან და ორი დელეგატიც—უმუშევართაგან. კონფერენციის პარტიული შემადგენლობა იყო ასეთი: „გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები იყო 63, კომუნისტი—175, დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატები (ლედებურის ჯგუფიდან) 5 კაცი, თვრამეტამდე—უპარტიოები. უნდა ითქვას, რომ კონფერენციის მომხრეთა რიცხვი წარმოდგენილი ორგანიზაციებით არ განისაზღვრებოდა. უსახსრობის გამო კონფერენციასვერ დაესწრენ 60 სხვადასხვა ადგილებიდან. მათ გამოგზავნეს მხოლოდ მისალმებანი.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა ერთად ერთი საკითხი იმის შესახებ, თუ **„როგორ ვუშველოთ ჩვენ ორგანიზაციებს, როგორ ვიხსნათ დაღუპვისაგან გერმანიის მუშათა კლასი".**

ამ დაღუპვამდე მიიყვანა პროფკავშირები სოციალ-დემოკრატიულმა ბელადებმა და მათმა რეფორმისტულმა პოლიტიკამ. ბუნებრივია ამიტომ, რომ კონფერენციაზე შეკრებილი ოპოზიცია უნდა ხელაღებით გამოსულიყო რეფორმისტული სოციალ-დემოკრატიისა და პროფკავშირთა ბიუროკრატიის წინააღმდეგ. რაღა გასაკვირალია, რომ ამ უკანასკნელებს მოეხდინათ მობილიზაცია ტყუილისა და ცილისწამების, მოეხდინათ მობილიზაცია მთელი თავიანთი და პოლიციის ძალების, რომლებიც გაფაციცებით დაეძებდენ „პროფკავშირთა მთლიანობის მტრებს", დაწყევლილ კომუნისტებს. უკვე თავისთავად საინტერესოა ის გარემოება, რომ ბურჟუაზიული რეაქციის წესრიგის დამცველი პოლიცია ეხმარება მენშევიკურ სოციალ-დემოკრატიას აღმოაჩინოს კონფერენცია კომუნისტების (და არა მარტო კომუნისტების, როგორც მკითხველი ხედავს ამ კონფერენციის შემადგენლობიდან), რომლებიც თითქოს ანგრევენ პროფკავშირთა მთლიანობას.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს მუშათა პროფესიონალური ორგანიზაცია, რომლის მთლიანობის დასაცავად გამოდის გერმანიის ფაშისტური ბურჟუაზიის პოლიცია. ვისთვის არ შეიქნება ცხადი, რომ ბურჟუაზია იცავს ისეთი „მუშათა" კავშირების მთლიანობას, რომლებიც „მთლიანად" აკეთებენ ამ ბურჟუაზიის საქმეს.

ასეთმა მდგომარეობამ აიძულა კავშირების რევოლიუციონური ნაწილები შეკრებილიყვნენ ვეიმარში კონფერენციაზე და გამოერკვიათ საკითხი, იმის შესახებ თუ „როგორ ვიხსნათ დაღუპვისაგან გერმანიის მუშათა კლასი".

კონფერენციამ საჭიროთ იცნო განიდევნოს პროფკავშირებიდან ყველა რეფორმისტული ბელადები. გაწყვეტილ იქნას კავშირი იმ ორგანოებთან, რომლებიც წარმოადგენენ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ორგანოებს და რომლებშიაც იღებენ მონაწილეობას რეფორმისტული სოციალ დემოკრატების ლოცვა-კურთხევით პროფესიონალური კავშირები. მოწვეული უნდა იქნას, რაც შეიძლება მალე, გერმანიის პროფკავშირების კონგრესი, რომელმაც უნდა მოახდინოს ლიკვიდაცია მთელი რეფორმისტული პრაქტიკისა და გამოიყვანოს პროფმოძრაობა რევოლიუციონური მოქმედების გზაზე.

კონფერენციამ გადაჭრით გაილაშქრა იმ „მემარცხენეების" წინააღმდეგ, რომლებიც მომხრე არიან გამოვიდნენ კავშირებიდან ან შეწყვიტონ საწევრო გადასახადების შეტანა კავშირებში. კონფერენციის სამართლიანი აზრით საჭიროა, პირიქით, გამაგრება კავშირებში, იქ ენერგიული მუშაობა, რათა ამ გზით დაიპყრათ ისინი და გამოვდევნოთ იქიდან რეფორმისტული პრაქტიკა.

ჩვენ გამოვაქვეყნებთ ხვალ ამ კონფერენციის მანიფესტს, რომლითაც მან მიმართა გერმანიის მუშათა კლასს. რამდენადაც ვიცით, ეს მანიფესტი არ დაბეჭდილა არც რუსეთის და არც კავკასიის გაზეთებში. მკითხველები დაინახავენ ამ დოკუმენტიდან, რომ გერმანიის რეფორმისტულ პროფკავშირებში დაიწყო ძლიერი მოძრაობა ამ კავშირების მთელი პრაქტიკის რადიკალურათ შეცვლის მიზნით. ძნელი სათქმელია წინდაწინვე დათავდება ეს მოძრაობა რევოლიუციონური კავშირების გამოყოფით იგრედწოდებულ „გერმანიის პროფესიონალური კავშირების საყოველთაო გაერთიანებიდან" („Allgemeine Deutsche geverkschaftsbund" ანუ შემოკლებით A. D. G. B) თუ ოპოზიცია დარჩება ისევ შიგნი ძველი ორგანიზაციის ფარგლებში, რისი სურვილიც მას აქვს. იმ მტრული განწყობილების გამო, რომელიც არის ოპოზიციისა და პროფესიონალური ბიუროკრატიის შორის, უფრო მოსალოდნელია, რომ ეს უკანასკნელი აიძულებს ოპოზიციას გამოვიდეს კავშირებიდან, თუმცა მისივე სურვილების წინააღმდეგ, გერმანიაში არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორიც იყო მაგალითად საფრანგეთის „შრომის საყოველთაო კონფედერაციაში", რომლის უმრავლესობა შედის დღეს ეგრედ წოდებულ „შრომის უნიტარულ კონფედერაციაში" პროფინტერნის პლატფორმით. ძალთა განწყობილება გერმანიის კავშირებში ჯერ კიდევ უფრო ხელსაყრელია ბიუროკრატიისთვის, ვინემ რევოლიუციონური ოპოზიციისთვის. მიუხედავად ამისა ოპოზიციას ეძლევა საშუალება, მუშათა კლასის საერთო სულისკვეთების გამო, დღეს უფრო ენერგიულათ გადავიდეს შეტევაზე ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული რეფორმისტული ბელადების წინააღმდეგ, ვინემ ამას ადგილი ჰქონდა წინეთ.

გერმანიის პროფკავშირები, საზოგადოთ გერმანიის მუშათა მოძრაობა ან დააღწევს თავს „ცუდი მწყემსების" დამღუპველ გავლენას ან იმ საბოლოოთ შეიქნება ბურჟუაზიის იარაღათ არსებული წესწყობილების გასამაგრებლათ სოციალ-დემოკრატიგის დახმარებით. ოპოზიციის გაბედული გამოსვლები და თვით ვეიმარის კონფერენცია თავდებია იმისი, რომ მოხდება სწორეთ პირველი და გერმანიის პროლეტარიატის ტრადიციული დისციპლინა და მისი ორგანიზაციები გამოყენებული იქნება მისივე კლასიური მიზნებისათვის და არა ბურჟუაზიის გასამაგრებლათ, როგორც ამას ადგილი აქვს დღეს მენშევიკების გავლენის დროს პროფკავშირებზე.

ნორმალური სატარიფო ცხრილების გატარების დროს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ხელფასის შემცირებას

სანამ არსებითად დასმულ საკითხზე გადავიდოდეთ, საჭიროა გარკვევა, თუ რა არის ნორმალური საერთო სატარიფო ცხრილი და რამ გამოიწვია მისი შემოღება.

სატარიფო ცხრილი წარმოადგენს სამუშაო ხელფასის მხრივ მომუშავეთა იმ დამოკიდებულებას, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა კვალიფიკაციით. მას მიზნათ აქვს შრომის დაჯილდოვებაში დაიცვას პრინციპი—მეტ კვალიფიკაციას მეტი სამუშაო ხელფასი. თუმცა პრაქტიკაში კვალიფიკაციათა სხვადასხვაობა ფრიად მრავალფეროვანია, მაგრამ მათი სწორი კლასიფიკაციის საშუალებით ისინი ეტევიან 17 ხარისხში. თვითეული მომუშავე, რა დარგშიდაც არ უნდა მუშაობდეს ის, წარმოებაში, დაწესებულებაში, სავაჭრო ორგანოში და სხვაგან, შეიძლება მიკუთნებული იქნეს კვალიფიკაციის მიხედვით ამ 17 ხარისხის რომელიმე კატეგორიას. დაახლოვებით მომუშავეთა დაყოფა შეიძლება ოთხ ჯგუფათ; პირველი—მოუმზადებელი შრომა (1—6 კატეგორიამდე), მეორე—მომზადებული შრომა (6—9 კატეგ.), მესამე ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი (9—12 კატეგ.) და მეოთხე—უმაღლესი ადმინისტრ.-ტეხნიკ. პერსონალი (13—17 კატ.). სხვადასხვა კატეგორიები სამუშაო ხელფასის რაოდენობის მხრივ არიან განსაზღვრულ დამოკიდებულებაში. მაგალითად აქამდი ადგილი ჰქონდა პირველ და მეჩვიდმეტე კატეგორიების დამოკიდებულებას, როგორც ერთის ხუთისადმი, ესე იგი მე-17 კატეგორიის ხელფასი ხუთჯერ მეტი იყო ვიდრე პირველის.

შრომის სამართლიანად და სათანადოთ დაჯილდოვება მოითხოვს მომუშავეთა შედარებითი კვალიფიკაციის მტკიცე დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი აზრი დაეკარგებოდა ცხრილის მიღებით კვალიფიკაციის გაზრდას, რაც დამღუპველი იქნებოდა მეურნეობისათვის, ვინაიდან ასეთი წესი იქნებოდა კვალიფიციონურ მუშა ძალის შემცირების მიზეზი.

მეორე მხრივ, კვალიფიკაციის მიხედვით შრომის დაჯილდოვება აუცილებელია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კვალიფიციონური მომუშავე მუშაობის პროცესის დროს უფრო მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე მცირე და არა კვალიფიციონური მომუშავე.

უკანასკნელ დროს შრომის ხელფასის პრაქტიკაში ფეხი მოიკიდა კვალიფიკაციის დარღვევამ. მოისპო ის წონასწორობა, რომელიც არსებობდა კვალიფიკაციათა შორის. ადგილი ჰქონდა კვალიფიკაციის ხელოვნურად აწევას შრომის ხელფასის გადიდების მიზნით. მაგალითად, დაწესებულების დარაჯი, რომელიც უნდა მიკუთნებული იქნას მეორე ან მესამე კატეგორიას, გადავიდა მე-6 და მე-7 კატეგორიაში. სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში კვალიფიკაციათა განსაზღვრა სხვადასხვანაირად სწარმოებდა, რამაც სრულებით არია სწორი კვალიფიკაცია. ერთ წარმოებაში, მაგალითად, ზეინკალი მე-9 კატეგორიას ეკუთვნოდა, მეორეში მეშვიდეს და მესამეში მეთორმეტეს.

სწორი კვალიფიკაციის დარღვევის გამო ადგილი ჰქონდა მოუმზადებელ—უბრალო შრომის და მომზადებულ—უმაღლესი კვალიფიკაციის შრომის ერთნაირ დაჯილდოვებას.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო ეღება პროფესიონალური კავშირების ორგანიზაციების მიერ. ამ უკანასკნელ დროს მიღებული დადგენილებებით — ერთიანი ნორმალური სატარიფო ცხრილის შემოღებისა და კვალიფიკაციის განაწილების გადასინჯვის შესახებ. ეს ერთიანი (ყველა დარგის მომუშავეთათვის საერთო) სატარიფო ცხრილი, ან როგორც მას სხვანაირათ ეძახიან ერთიანი ტარიფი (**единый тариф**) შეიცავს 17 ხარისხს. დამოკიდებულება პირველი ხარისხისა მეჩვიდმეტესთან ამ ცხრილით გამოიხატება, როგორც ერთისა რვისადმი (1:8), ანუ მე-17 ხარისხის ხელფასი უნდა იყოს რვაჯერ მეტი, ვიდრე პირველის. ამის და მიხედვით განსაზღვრულია ცხრილის შიგნით ხარისხთა დამოკიდებულება.

ამ საერთო სატარიფო ცხრილის ცხოვრებაში გატარების დროს აუცილებელია ხელოვნურად აწეულ კვალიფიკაციების დაწევა და სათანადო დაბალ ხარისხზე მიკუთნება. კვალიფიკაციის მაღლა აწევას კი, ნორმალური ცხრილის შემოღებით, ადგილი არ ექნება, რამდენათაც ხდებოდა კვალიფიკაციათა ხელოვნური აწევა და არა დაწევა. კვალიფიკაციის დაწევა ანუ დაბალ კატეგორიაზე ჩამოყენება კი **გამოიწვევს ზოგიერთ მომუშავეების შრომის ხელფასის შემცირებას**, თუ ეს დაწევა მოხდა მექანიკურად. ეს კი არა სასურველ შედეგებს მოიტანს და უკმაყოფილებას გამოიწვევს. შედეგათ იქნება **შრომის ნაყოფიერების შემცირება**. ამიტომ შრომის ხელფასის შემცირებას კვალიფიკაციის გადასინჯვის დროს ადგილი არ უნდა ექნეს. ამის თავიდან აცილება კი ადვილი მოსახერხებელია და საჭიროც, თუ მივიღებთ მხედველობაში შემდეგს.

კატეგორიების ხელოვნურათ აწევა ხდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ გადიდებული ყოფილიყო ხელფასი ამა თუ იმ მომუშავეთათვის. ეს ცხოვრების მიერ სტიქიურად გამოწვეული მოვლენა იყო, შრომის მცირეთ დაჯილდოვების წინააღმდეგ მიმართული. სრულიად ბუნებრივი იყო, რომ მაგალითად, დაწესებულების დარაჯი მეორე და მესამე კატეგორიიდან მოხვდა მეხუთე და მეექვსეში. ეს აიხსნება მეორე და მესამე კატეგორიის ძლიერ მცირეთ (შედარებით ამ დროსთან) დაჯილდოვებით.

საერთო ტარიფის გატარების დროს ეს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. კატეგორიები შეიძლება დაბლა იქნეს დაწეული, მაგრამ დატოვებული იქნას ამა თუ იმ მომუშავესათვის ის რეალური ხელფასი, რომელსაც ის იღებდა, სახელდობრ, თუ მეექვსე კატეგორიიდან მესამეში გადმოყავთ მომუშავე, მას უნდა დარჩეს ძველი, მეექვსე კატეგორიის ჯამაგირი. ეს კი შესაძლებელი იქნება, თუ სათანადოთ გადიდებული იქნა პირველი ხარისხის ხელფასი. თუ მაგალითად რომელიმე წარმოებაში პირველი ხარისხი იღებს ხუთ საქონლის მანეთს და მესამე 7 მ. 50 კ., და ამ წარმოებში კვალიფიკაციის გასინჯვის დროს საჭიროთ სცნეს მესამე კატეგორიიდან რომელიმე მომუშავის პირველ კატეგორიაზე ჩამოქვეითება, საჭიროა პირველი ხარისხის ხელფასის გადიდება 7 მ. 50 კ-პიკამდე. ეს უმტკივნეულოთ გახდის ხარისხის დაწევას და არ შეამოკლებს სამუშაო ხელფასს. სათანადოთ შეიცვლება სხვა ხარისხების დაჯილდოვებაც, დაწყებული პირველი ხარისხიდან მეჩვიდმეტემდე. ამით სრულებით არ გაიზრდება ამ წარმოების ხელფასისათვის დასახარჯი ფონდი. დარჩება ძველი მდგომარეობა.

ეს ზომა საჭიროა იქ, სადაც სამუშაო ხელფასი მცირეა ან საშუალო. მაქსიმალურ ჯამაგირებთან წარმოება-დაწესებულებებში კი კვალიფიკაციის გადასინჯვის დროს შეიძლება ხელფასის შემცირება, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს საერთო ხასიათი და უნდა ხდებოდეს მხოლოდ თითოოროლა მომუშავეთა მიმართ.

ტომელი.

საფრანგეთის მოსყიდული და გახრწნილი ბურჟუაზიული პრესა

III

პრესის ჩასაჩუმებლად

თუ გინდა „გააჩუმო" ბურჟუაზიული პრესა, რათა მან ამ სიჩუმით ხელი დაფაროს თვითმპყრობელობის სისაძაგლეს, მას უნდა ჩატენო პირში ფულები—ასეთი აზრი ჰქონდა შემუშავებული დიდი გამოცდილების შემდეგ, კოკოვცევის „საიდუმლო მრჩეველს" პარიზში არტურ რაფალოვიჩს. ასეც იქცეოდა.

მოვიყვანთ შემოკლებით მის წერილებს.

„მაქვს პატივი ანგარიში მივსცე თქვენს აღმატებულებას იმ შეთანხმების შესახებ, რომელსაც მე მივაღწიე საფრანგეთის პრესასთან—სწერს რაფალოვიჩი კოკოვცევს 1904 წელს—ამის გამო მე მქონდა თათბირი ჰოტტინგერთან და შეფრანთან, რომელიც არის „პარიზის ბანკისა" და „ნიდერლანდის ბანკის" დირექტორი. თუ საჭირო იყო გაგველო მსხვერპლი იმისთვის, რომ **დაგვეწყნარებია** პრესა, იმავე დროს აუცილებელი იყო განგვესაზღვრა ეს მსხვერპლი. მას შემდეგ, რაც დავეთანხმე კიდევ ერთი თვის განმავლობაში დამეხარჯა, ძველი პირობების თანახმათ, ასი ათასი ფრანკი, შევეცადე საგრძნობლად შემემოკლებია მომავალი დროის ხარჯები".

აძლევს რა შემდეგ ცნობას იმის შესახებ, თუ რომელ თვეში რამდენი დაიხარჯა, რაფალოვიჩი სწერს:

„პირველი ათი თვის განმავლობაში აღმაშფოთებელი გამყიდველობა საფრანგეთის პრესისა ჩვენ დაგვიჯდა ექვსასი ათასი ფრანკი, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ჩვენ გავიღეთ მით სასარგებლოთ 800 მილიონი ფრანკის სესხის განცხადებებისთვის... შუამავალი, რომელიც მე მეხმარებოდა, არის ლენუარი, კავალერი საპატიო ლეგიონისა; ის იღებს 10 პროცენტს თავის გასამრჯელოთ.

„დახარჯულია 48250 ფრანკი პოლიტიკური გაზეთებისთვის, 13300 ფრანკი პირადი ხარჯისთვის (რედაქციების მდივნებისთვის. გაზეთების ფინანსიურ განყოფილებათა რედაქტორებისთვის, გაზეთების რედაქტორებისთვის). გარდა ამისა დაიხარჯა 15000 ფრანკი პროვინციის გაზეთებისა და სააგენტოებისთვის, 14500 ფრანკი ფინანსიური გაზეთებისთვის".

„ფული შეგვაქვს თვიურად „პარიზის ბანკის", და „ნიდერლანდის ბანკის საშუალებით" „ალჟირის ბანკში", რომლიდანაც ჩეკებით ურიგდება დაინტერესებულ პირებს. ზოგიერთ პირებს ფულს ვაძლევთ პირდაპირ ხელში, პირადათ, რადგან სხვანაირათ უხერხულია".

„რადგან უხერხულია, რომ ამ შემთხვევაში სახელი რუსეთის მთავრობის ან ფინანსთა მინისტრის ნახსენები იყოს. ამიტომ მთელი ეს კომბინაცია ეწყობა ბანკების და და ბანკირების სინდიკატის სახელით, როგორც ეს წინედ ხდებოდა ხოლმე".

„ეს ხარჯი საჭიროა რუსეთის კრედიტის პრესტიჟის დასაცავად პრესის საშუალებით და კიდევ იმისთვის, რომ ცოტათი მაინც შევარბილოთ საზოგადოთ სისტემატიური კამპანია რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, რადგან მთლად შეჩერება ამ კამპანიისა შეუძლებელია".

ასეთია უშუალოდ ამ საქმეში ჩარეული პირის მოწმობით საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესის გამყიდველობა და ზნეობრივი დაცემა. ჩვენ გავეცნობით ამ რიგის სხვა დოკუმენტებსაც, რომლებიც შეეხებიან უკვე პირადათ ამა თუ ის მოღვაწეებს ან ცალკე გაზეთებს.

ორი მაგალითი.

გაზ. „ფიგარო" და „ლიბერტე" დიდი ორგანოებია საფრანგეთის პრესის, განსაკუთრებით პირველია ცნობილი მთელ მსოფლიოში. მისი რედაქტორი, გასტონ კალმეტი, იყო ფრიად გავლენიანი ჟურნალისტი. როგორცა ცნობილია, ის მოჰკლა კაიოს ცოლმა. ჩვეულებრივ მასზე ლაპარაკობენ როგორც „დიდ ფრანგზე".

„ლიბერტე"-ს რედაქტორი იყო ცნობილი დეპუტატი, სენატორი, „კავალერი საპატიო ლეგიონის"—ბერტულა. ორივე პატიოსანი პირი იღებდა რუსეთის მთავრობის აგენტებისაგან სამ-სამ ათას ფრანკს თვეში.. გაჩუმებისთვის. მაგრამ ეს არ იკმარეს და მოითხოვეს მეტი. რაფალოვიჩს ყავდა ერთი „თავისი კაცი" ფულების დამრიგებელი და გამნაწილებელი. ერთ მშვენიერ დღეს მან მოახსენა თავის ბატონს რომ ორივე პატიოსანი მოღვაწეების სიჩუმე უფრო მეტი ღირს, ვინემ ისინი „იღებენო" და აიძულა რაფალოვიჩი მოემატებია მათთვის.

„მე დავრწმუნდი მაშინ—სწერს რაფალოვიჩი კოკოვცევს—რომ ჩვენი აგენტი ძალიან ხელგაშლილათ ექცეოდა ჩვენს ფონდს".

1905 წელს, აპრილში, რაფალოვიჩი სწერს კოკოვცევს:

„ბ. ვერნეილი (აგენტის გვარია) ახირებული კაცია. მან უთხრა ფიგაროს რედაქტორს კალმეტს, რომ ის მან შეიტანა სიაში ათი ათასი ფრანკის ჯილდოს მისაღებათ თვიურათ".

ხოლო როგორ ხერხს მიმართავდენ ეს პატიოსანი პირები, სჩანს შემდეგი წერილიდან. რაფალოვიჩი სწერს კოკოვცევს:

„როგორც ეტყობა თქვენი საგარეო მინისტრი უკმაყოფილოა რამოდენიმე გაზეთის და მათ შორის გაზ. „ფიგაროს" დამოკიდებულებით მასთან. მე არ ვიცი რატომ არის გაჯავრებული „ფიგარო"; ნუ თუ იმიტომ, რომ ის კიდევ უკმაყოფილოა მით, რომ ეცოტავება ის ჯილდო, რომელსაც ჩვენგან იღებს?

„ფიგარო" ამ დილაზე ისევ გულმოსულია ჩვენზე. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? სახიფათოა გადამტერება გავლენიანი ჟურნალისტის, რომელსაც ამასთანავე დიდი კავშირი აქვს ისეთ ქვეყნებში, რომლებიც მეგობრულათ არ არიან განწყობილი რუსეთისადმი. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ფინანსთა მინისტრის აგენტი ჩუმათ უნდა იყოს თავისთვის, თორემ თუ გამოჩნდა გარეთ, ეს დაგვიჯდება ძვირათ".

ნიკოლოზის მთავრობას ბევრი სისაძაგლე ჰქონდა დასამალავი. პრესაც სიჩუმით ფარავდა მის დანაშაულობას და ამისთვის იღებდა „ქანქარს". მაგრამ თუ მას მადა მოემატებოდა, ის მეტ გასამრჯელოს თხოულობდა. ვინ გაბედავდა უარის თქმას? მაგრამ კიდევაც რომ გაებედა ვისმეს უარი საკმაო იყო ერთ-ერთ დილაზე გამოსულ გაზეთის ნომერში დაბეჭდილიყო წერილი, რომელიც გამოხატავდა გულის წყრომას „განრისხებული" ბატონისას და ეს „ბუზღუნი" საკმაო იყო. „საიდუმლო აგენტი" ფინანსთა სამინისტროსი „მოლღვებოდა" და ათი ათასობით ოქროს ფრანკი ჩაჩხრიალდებოდა რომელიმე „დიდი ფრანგის" ჯიბეებში.

ნ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

გაკოტრებული გერმანია

რურის ოლქში ქაღალდის მარკებს აღარ იღებენ.

გერმანიის პროლეტარიატი განაგრძობს ბრძოლას. მწარმოებლები შრომის ხელფასის საკითხში დათმობაზე მიდიან.

ლითონზე მომუშავეთა მოძრაობა სხვა წარმოებებსაც მოედვა.

უარყოფითი პასუხი: გერმანიის უკანასკნელ მემორანდუმზე საკონტრიბუციო საკითხის შესახებ ბერლინში უარყოფითი პასუხს მოელიან.

ახალი მთავრობა საქსონიაში: საქსონიაში შესდგა ახალი მთავრობა.

სოციალ დემოკრატებს შორის: საქსონიის სოციალ-დემოკრატებს შორის დიდი უთანხმოებაა მთავრობის შედგენის საკითხში. საქსონიის ლანდტაგის კომისიამ მიიღო კომუნისტების წინადადება ლანდტაგის დათხოვნის და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ. ამის გამო მემარჯვენე სოც.-დემოკრატებმა მიიღეს რეზოლიუცია კოალიციონური მთავრობის შედგენის შესახებ.

ტიურინგიაში: ტიურინგიის დატუსაღებულმა კომუნისტებმა შიმშილობა გამოაცხადეს.

სრული ფინანსიური კრახი

ბერლინი. 6 იანვარი. ბირჟის წრეებში დიდი მღელვარებაა მარკის მომავალი ბედის გარშემო. ოფიციალურად უარყოფილია ცნობა ამერიკაში 80 მილ. ოქროს მარკის გაგზავნის შესახებ. დაკავებულ ოლქების მრეწველები უარს ამბობენ ქაღალდის მარკების მიღებაზე. სარენტო ბანკის კრედიტი, რომელიც მიეცა გერმანიის მთავრობას, სავსებით ამოიწურა. შემოსული გადასახადები ვერ ჰფარავენ ხარჯებს.

მარკის დაცემა ხელს უწყობს აგრეთვე საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას. მოელიან პუანკარესაგან უარყოფით პასუხს გერმანიის უკანასკნელ წინადადებაზე. მსხვილ მრეწველობას ესაჭიროება დიდი კრედიტები. სტინესის ერთმა კონცერნმა მოითხოვა კრედიტი 1 მილიარდი სარენტო მარკის რაოდენობით. ზოგიერთ წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ ახლო მომავალში საბანკნოტო ბანკის დაარსება ქაღალდის და სარენტო მარკის გამოსაშვებათ.

ბრძოლა რვა საათის სამუშაო დღისათვის

ბრძოლა ბოლომდის.

ბერლინი. 5 იანვარი. ბერლინის ლითონის მრეწველობაში მუშაობა სწარმოებს მხოლოდ პატარა ქარხნებში, რომელთა მეპატრონეები არ ეკუთვნიან მწარმოებელთა კავშირს, და სტინესის ზოგიერთ წარმოებებში, რადგან შემთანხმებელმა პროფკავშირმა მიიღო მწარმოებლების პირობები. მწარმოებლები არ გამოცხადდნენ დანიშნულ თათბირზე; მათ მოითხოვეს სოციალდემოკრატ ვისსელის გადაყენება, რომელიც შრომის სამინისტროს მიერ დანიშნული იყო მედიატორით, მაგრამ მათი მოთხოვნილება უარყოფილ იქნა 5 იანვარს მწარმოებლებმა დაიწყეს უშუალო მოლაპარაკება პროფკავშირებთან, მოლაპარაკება უნდა დამთავრებულიყო ორი საათის განმავლობაში. ბურჟუაზიული პრესა ამტკიცებს, რომ მელითონეების ბრძოლას გაფიცვის ხასიათი აქვს. **„როტე ფანე" ამტკიცებს, რომ მწარმოებლებს უნდათ შრომის ხელფასის შემცირება და 20 საათის სამუშაო დღის შემოღება, ბერლინის მელითონეების უმრავლესობა, რომელიც მიემხრო კომუნისტების წინადადებებს, მიიყვანს ბრძოლას ბოლომდის, რითაც შეაჩერებს მუშათა კლასის უკან დახევას.**

მწარმოებლები დათმობაზე მიდიან

ბერლინი, 5 იანვარი. ბერლინის მელითონეთა ბრძოლა გადავიდა კიდევ 17 წარმოებაში; ბრძოლა დაიწყო აგრეთვე სტინესის ზოგიერთ წარმოებებშიც. პროფკავშირების წარმომადგენლებმა უარი სთქვეს განეხილათ მწარმოებლების მიერ წამოყენებული წინადადება სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ. **მწარმოებლები დათმობაზე მიდიან შრომის ხელფასის საკითხში.**

მუშების დათხოვნა რურში.

ბერლინი. 5 იანვარი. იმის გამო, რომ დიუსსელდორფის მელითონეებმა უარი განაცხადეს მიეღოთ მწარმოებლების მოთხოვნილება 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ, ზოგიერთ წარმოებებში დაიწყეს მუშების დათხოვნა.

მელითონეების გამარჯვება.

პარიზი. 7 იანვ. გერმანიის მელითონეების გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა. შრომის ხელფასი გადიდებულია, შენარჩუნებულია 48 საათის სამუშაო კვირა.

სოციალ-დემოკრატებს შორის

ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ დემოკრატებს შორის.

ბერლინი. 5 იანვარი. **საქსონიის ლანდტაგის იურიდიულმა კომისიამ მიიღო კომუნისტების წინადადება ლანდტაგის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ,** რამაც აიძულა სოციალ-დემოკრატები გამოსულიყვნენ ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ლანდტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ 22 ხმის უმრავლესობით 14 წინააღმდეგ აზრი გამოსთქვა კოალიციაში შევიდეს დემოკრატებთან და სახალხო პარტიასთან. მემარცხენე ფრთა კიცხავს ფრაქციის გადაწყვეტილებას, მაგრამ ის ამავე დროს არ აღნიშნავს სხვა გამოსავალს. **ფრაქციის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა პარტეიტაგის დაუკითხავად, ემუქრება პარტიის მთლიანობას.** მემარჯვენე ფრთა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ასაბუთებს იმით, რომ ეხლანდელ პირობებში შეუძლებელი იყო პროლეტარული კოალიციის შექმნა.

ლანდტაგში სოციალ-დემოკრატებმა წამოაყენეს საქსონიის მეფის მთავრობის და ცეიგნერის მთავრობის ყოფილ მინისტრის და მემარჯვენე დემოკრატის ჰელდის კანდიდატურა. დემოკრატებმა და სახალხო პარტიამ მოიწონეს ჰელდის კანდიდატურა. მემარცხენე სოც.-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ისინი წინააღდეგი არიან კოალიციის და ამიტომ ხმას არ მისცემენ ჰელდის კანდიდატურას. კენჭის ყრის დროს ჰელდმა მიიღო 54 ხმა, კომუნისტმა ბეტხერმა—10, ნაციონალისტმა ჰოფმანმა—17. კენჭის ყრის დროს თავი შეიკავა 14 მემარცხენე სოციალ-დემოკრატმა.

6 იანვარს იხსნება საქსონიის პარტეიტაგი, რომელზედაც მოსალოდნელია გაცხარებული ბრძოლა მემარჯვენე და მემარცხენე სოციალ-დემოკრატებს შორის.

ახალი მთავრობა საქსონიაში

მთავრობის შემადგენლობა.

ბერლინი. 5 იანვარი. საქსონიის ახალი მთავრობის შემადგენლობა ასეთია: მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებიდან—პრემიერი ჰელდი, შინაგან საქმეთა მინისტრი—მიულერი და შრომის მინისტრი—ელსნერი; დემოკრატებიდან—ფინანსთა მინისტრი—რეინჰოლდი, სახალხო პარტიიდან—იუსტიციის მინისტრი ბუნოერი და განათლების მინისტრი კაიზერი. მემარცხენე სოციალ-დემოკრატი ფელიში ჩაიბარებს სახალხო მეურნეობის სამინისტროს პორტფელს, თუ ამაზე თანახმა იქნება პარტეიტაგი.

ტიურინგიაში

ტიურინგიის კომუნისტების შიმშილობა.

ბერლინი. 5 იანვარი. **ტიურინგიის კომპარტიის საოლქო კომიტეტის წევრებმა,** რომლებიც დაპატიმრებულ იქნენ ნოემბერში, სხვა დაპატიმრებულებთან ერთად **გამოაცხადეს შიმშილობა** მათი ბრალდების წაუყენებლად დაპატიმრების წინააღმდეგ. რეიხსვერის სარდალი გასეკი ემუქრება მათ დაპატიმრების ვადის გაგრძელებით. გას[illegible] შემოღებულ იქნეს [illegible] მიმართ უფრო [illegible]

სათემო არჩევნების შედეგები.

ბერლინი. 6 იანვარი. სათემო არჩევნებში ნეიხგაუზენში და დრეზდენში (საქსონია) **კომუნისტებმა მიიღეს 271 ხმა,** ესდეკებმა—268 და ყველა ბურჟუაზიულმა პარტიებმა—516.

უარყოფითი პასუხი

პარიზი. 5 იან. მიღებულია, ცნობა, რომ ახლო მომავალში გამოქვეყნებული იქნება საფრანგეთისა და ბელგიის პასუხი გერმანიის უკანასკნელ მემორანდუმზე. **საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ გამოსთქვა თავისი აზრი გერმანიის მთავრობის წინადადების წინააღმდეგ.** საფრანგეთის მთავრობა ალბათ შეეცდება დაამტკიცოს თავის საპასუხო ნოტაში, რომ გერმანიის წინადადება ეწინააღმდეგება საფრანგეთის პოლიტიკის საერთო ხაზს სარეპარაციო საკითხში. ბელგიის მთავრობა კი არ იზიარებს საფრანგეთის საოკუპაციო ხელისუფლების აზრს და მზათ არის დათანხმდეს რურის ოლქში არსებულ რეჟიმის შეცვლაზე, რათა ამით აღდგენილ იქნეს ეკონომიური ურთიერთობა საოკუპაციო ოლქებსა და დანარჩენ გერმანიის შორის.

ქრონიკა

ავანტიურისტებს საკადრისს მიუზღვენ!

მენშევიკური „ცეკას" აგენტებმა მოჰკლეს ძველი რევოლიუციონერი მუშა ამხ. ილარიონ გიორგაძე. ამ აქტმა გამოიწვია ერთსულოვანი აღშფოთება მუშათა მასებში და ყველა პატიოსან მოქალაქეებში.

სწორეთ „ცეკას" უილაჯობას, უძლურებას მოჰფინა სხივი ამ ამბავმა და გამოააშკარავა ამნაირათ მიზეზები ავანტიურისტული გზის, რომელზეც ის შესდგა. შთაბეჭდილება შეიქნა სრული, გამანადგურებელი ამ „პარტიისათვის". საჭირო დაინახეს ამიტომ რაღაც ეთქვათ, რომ შეესუსტებიათ ეს შთაბეჭდილება და „ცეკაც" უშვებს ფურცელს: გიორგაძე მოჰკლა საბჭოთა ხელისუფლებამო.

გაბოროტებით ამაზე უფრო ჭკუის გაფანტვა წარმოუდგენელია. „ჩეკა" კლავს მუშას, რომელმაც ჩაჰკლა მენშევიკური პარტია. როგორ? ჩეკა, რომელმაც ლიკვიდაცია უყო მენშევიკურ პარტიას, ჰკლავს ამხანაგ-მუშას, რომელმაც დაჰკმო, ჩაწიხლა ეს პარტია? ჭკუის ამაზე მეტი დაკარგვა შეიძლება კიდევ?

გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში ამხ. ვ. ლ. ეხება რა „ცეკას" ამ ფურცელს, სწერს შემდეგს:

> „იცოდნენ ამ ავანტიურისტებმა, რომ გიორგაძის მკვლელისათვის პარტია მიიღებს საკადრისს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა არ დაზოგავს საძაგელ მკვლელებს. მაგრამ თუ მომავალშიაც გაბედავენ მენშევიკები კბენას, როგორც ცოფიანი ძაღლები, ჩვენ ვიცით საშუალება ცოფიანი ძაღლების განადგურებლათ".

ზედმეტია მივუმატოთ კიდევ რამე ნათქვამს.

დამნაშავეები მიიღებენ იმას, რაც მათ დაიმსახურეს.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ჩეხო-სლოვაკიაში: ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის ოფიციალური ორგანო ,,ჩეხო-სლოვიანსკა“ რესპუბლიკა სწერს, რომ საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულება ხელს შეუწყობს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის აღდგენასო.

ინგლისში: ინგლისში ძლიერდება აგიტაცია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

ამერიკაში: ამერიკაში გრძელდება რეაქციონური ჯგუფების აგიტაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დემოკრატიულ და პროგრესიულ წრეებში სასტიკად აკრიტიკებენ მთავრობის პოზიციას რუსეთის საკითხში. კანდიდატი პრეზიდენტის თანამდებობაზე სენატორი ჯონსონი კლეველანდში გამოვიდა დიდი სიტყვით კულიჯის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. მან დაჰგმო პრეზიდენტის ორჭოფული პოლიტიკა.

ჯონსონის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებრივ აზრზე.

ჩეხო-სლოვაკია

საფრანგეთ-ჩეხიის ხელშეკრულება დააჩქარებს კავშირს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის.

პრაგა. 5 იანვარი. ოფიციალური „ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკა“ სწერს „საფრანგეთ ჩეხიის ხელშეკრულება საშუალებას მისცემს ჩეხო სლოვაკიას დიდი სამსახური გაუწიოს საფრანგეთს და რუსეთს. **საფრანგეთმა თითქმის უარყო თავისი მტრული პოზიცია საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ წესწყობილების წინააღმდეგ.** პრაგა შეაერთებს საფრანგეთის და რუსეთის ხელებს.

ჩეხიის ნაციონალისტი-დეპუტატი ბრიუშევსკი სწერს: „საბჭოთა რუსეთი ცნობილი იქნება დე-იურედ, როგორც კი უკანასკნელი მისცემს სახელმწიფოებს იმის გარანტიას, რომ ის გადაიხდის ომის წინა დროის ვალებს. საკითხი რუსეთის მიერ ომის დროის აღებული ვალების შესახებ, უნდა გადაიდოს მოკავშირეთა ვალების საკითხის გადაჭრამდე. რუსეთმა, მიუხედავად კრედიტების შესახებ მოლაპარაკების უშედეგოთ დასრულებისა, მოახერხა თავისი მდგომარეობის განმტკიცება, რის გამოც ის ხდება მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო პოლიტიკაში.

ამერიკაში

იუზის პოლიტიკის დაცვა.

ნიუ-იორკი. 5 იანვარი. სენატის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარე ლოჯმა განაცხადა, რომ ის ორშაბათს გამოვა სენატში სიტყვით, რომელშიაც დაიცავს იუზის პოლიტიკას რუსეთის საკითხში და წარადგენს საბუთებს იმასას, რომ საბჭოთა მთავრობა შეერთებულ შტატებში ეწეოდა პროპაგანდას. სახელმწიფო დეპარტამენტი შეეცადა დაეცვა ბრალდება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და გამოაქვეყნა გაზეთ „პრავდა“-ს 14 დეკემბრის ნომერში მოთავსებულ, ამერიკის მუშათა პარტიისადმი მიმართულ ამხ. ზინოვიევის წერილის თარგმანი.

კულიჯის პოლიტიკის გაკრიტიკება.

ნიუ-იორკი. 5 იანვარი. სენატორმა ჯონსონმა, სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა მან კლეველანდში, გააკრიტიკა კულიჯის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ჯონსონის განცხადების თანახმად, „ამერიკის ხალხს არ შეუძლია გაიგოს თავისი მთავრობის პოლიტიკა რუსეთის საკითხში. ერთის მხრივ, პრეზიდენტი თავის მიმართვაში მეგობრულ ხელს უწვდის რუსეთს, მეორეს მხრივ კი—იუზის საშუალებით ის ზურგს აქცევს მას“.

„იუნაიტედ პრესს“-ი იტყობინება, რომ კულიჯის პოლიტიკური მრჩევლები მეტად გაკვირვებულნი არიან ჯონსონის თავდასხმით მთავრობის პოლიტიკაზე რუსეთის საკითხში და სცდილობენ კულიჯის გათეთრებით თავს მოახვიონ მთელი ბრალდება იუზს.

კულიჯის ინტერესი საბჭოთა რუსეთისადმი.

ნიუ-იორკი, 5 იანვარი. კულიჯმა მიიღო რუსეთიდან დაბრუნებული „იუნაიტედ პრესს“-ის დირექტორი ბიკელი, რომელთანაც მას ხანგრძლივი ბაასი ჰქონდა რუსეთის მდგომარეობის შესახებ. კულიჯმა დიდი ინტერესი გამოიჩინა რუსეთის მიმართ და დაწვრილებით გამოკითხა ბიკელს იქ არსებულ ეკონომიურ და სოციალურ პირობების შესახებ. ბიკელმა განიხილა აგრეთვე რუსეთის საკითხი იუზთან.

ინგლისში

საბჭოთა კავშირის ცნობა აუცილებელია.

ლონდონი. 5 იანვარი. „დეილი ჰერალდ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი გამოქვეყნებულ წერილში ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობილი უნდა იქნეს ინგლისის მიერ მოლაპარაკების დაწყებამდის ურთიერთ პრეტენზიების შესახებ. კომიტეტმა „ხელები შორს რუსეთისაგან“ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც მოითხოვს საბჭოთა მთავრობის ცნობას.

ინგლისი ახალი მთავრობის მოლოდინში

მუშათა მთავრობის შედგენის წინ.

ბერლინი. 7 იანვარი. სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობა, რომ მუშათა პარტიის ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შესაძლებლობა ცუდ გავლენას იქონიებს უცხოეთის კაპიტალზე, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ის გაზეთებიც კი, რომლებიც ყველაზე ძლიერ ოპოზიციაში არიან მუშათა პარტიისადმი, აღნიშნავენ, რომ ასეთ გავლენას უცხოეთის კაპიტალზე ადგილი ექნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულიად გაუგებარი იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა. „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის ხელისუფლების სათავეში ჩადგომა შესაძლებელია მხოლოდ ასკვიტის თანხმობით, რომელიც არის კონსტიტუციონალიზმის ყველაზე თავგამოდებული დამცველი.

მუშათა პარტიის გამოჩენილი ბელადი ჯონ ტომასი თავის განცხადებაში, რომელიც გააკეთა მან დღეს, ამბობს: „მე არ შემიძლია წარმოვიდგინო, რომ მუშათა მთავრობამ იმ პირობებში, რომელშიაც ჩაიგდებს ის ხელში ძალაუფლებას და დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს, გადასდგას ისეთი ნაბიჯი, რაც ეჭვს დაბადებს ინგლისის სიმტკიცესა და მომავალში. რამდენათაც მე ვიცნობ ჩემს კოლეგებს, მე გადაჭრით შემიძლია ვსთქვა, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ მათი აზრების გამომხატველი“.

თუ ჯამს გავუკეთებთ საერთო მდგომარეობას, შეიძლება ითქვას, რომ იმ წრეებში, რომელნიც ყოველთვის ოპოზიციაში იყვნენ მუშათა პარტიის მიმართ, ადგილი არა აქვს არავითარ მღელვარებას, რადგან იქ ყველა დარწმუნებულია, რომ ინგლისელებისაგან შემდგარი მუშათა მთავრობა არაფერ ისეთს არ ჩაიდენს, რაც ვნებას მიაყენებს სამშობლოს ინტერესებს.

პარლამენტის გახსნის წინ.

ლონდონი. 7 იანვ. თემთა პალატის პირველი სხდომა შესდგება სამშაბათს. ეჭვს გარეშეა, რომ ყველა პარტიები გაერთიანდებიან უაიტლეის არჩევაში. პალატის ჩვეულებრივი მუშაობა დაიწყება 15 იანვარს მეფის სიტყვით სესიის გახსნის ცერემონიალის შემდეგ.

უნდობლობა ბალდვინს.

ლონდონი. 7 იანვ. შესაძლებელია, რომ ბალდვინის მთავრობა დამარცხდეს, ვინაიდან გაერთიანებული მუშათა და ლიბერალური პარტიები გამოუცხადებენ მთავრობას უნდობლობის ვოტუმს, რომელსაც პალატაში მაკდონალდი გამოიტანს.

„ხანგრძლივად და დიდი ხნით“.

ლონდონი. 5 იანვარი. „ნიუ ლიდერ“-ი ათავსებს მაკდონალდის განცხადებას, რომელშიაც უკანასკნელი აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიას განზრახული აქვს შექმნას არა ხანმოკლე, არამედ ხანგრძლივი მთავრობა. მაკდონალდი კატეგორიულად უარჰყოფს იმ მტკიცებას, თითქოს მუშათა პარტიას მთავრობის შედგენის შემდეგ განზრახული ჰქონდეს პარლამენტის გაშვება პარტიული მოსაზრებით. ლიბერალური წრეები კმაყოფილი არიან ხოჯესით—მემადაროების ბელადით, რომელიც არჩეულია პარლამენტში, რადგანაც უკანასკნელმა განაცხადა, რომ მუშათა პარტია არ წარმოადგენს კლასობრივ პარტიას და აღნიშნა, რომ მუშათა მთავრობა შეიძლებს თავისი პროგრამის შესრულებას, დარჩება რა სავსებით კონსტიტუციის ფარგლებში. ხოჯესმა განაცხადა, რომ მას იმედი აქვს რომ მეფის ხელისუფლება წინააღმდეგობას არ გაუწევს მუშათა მთავრობის დემოკრატიულ ტენდენციებს, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისს თავს დაატყდებოდა რევოლიუციის მთელი საშინელებანი.

ინგლისის კომპარტიის წერილი.

ლონდონი. 5 იანვარი. კომუნისტური პარტია ღია წერილში მუშათა პარტიის მდივნის გენდერსონისადმი კმაყოფილებას გამოსთქვამს მუშათა პარტიის მიერ არჩევნებში მოპოვებულ გამარჯვების გამო და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის ყოველივე ძალ-ღონით მხარს დაუჭერს მუშათა პარტიას და აგრეთვე ხელს შეუწყობს მთელი ინგლისის პროლეტარიატის გაერთიანებას მუშათა მთავრობისათვის მხარის დაჭერის ნიადაგზე. კომპარტიის აზრით, მუშათა მთავრობის პოლიტიკა უნდა შეიცავდეს უმუშევრების სრულ კმაყოფას პროფკავშირების განაკვეთების მიხედვით, საბინაო კონტროლის აღდგენას, მადაროების ნაციონალიზაციას, საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ და სრულ ცნობას, საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას რუსეთის და გერმანიის მონაწილეობით საერთაშორისო მშვიდობიანობის საკითხების გადასაჭრელად.

პოლონეთში

კაპიტალისტ მემამულეთა მთავრობის მეორე გამოცემა.

ვარშავა. 5 იანვარი. შაბათს, ყრილობის საგანგებო სხდომაზე მიღებულ იქნა კ ნონ პროექტი მთავრობის უფლებათა გაფართოების შესახებ. კანონ პროექტს ხმა მისცეს ყველა პარტიებმა კომუნისტებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების გარდა. კომუნისტმა კრულიკოვსკიმ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა კანონ პროექტი და განაცხადა, რომ გრაბსკის მთავრობა წარმოადგენს კაპიტალისტებისა და მემამულეების წინანდელ მთავრობის მეორე გამოცემას და რომ ბურჟუაზიული რომანტიკოსი გრაბსკი მალე დარწმუნდება, რომ მესაკუთრეები არავითარ მსხვერპლს არ გაიღებენ სახელმწიფოსათვის და გადასახადებს არ მოიხდიან.

ბელორუსიის მდგომარეობის გაშუქება.

ვარშავა. 5 იანვარი. ვარშავის სააპელიაციო სასამართლომ დაამტკიცა ბელოსტოკის სასამართლოს განაჩენი ბელორუსიის მოღვაწეების საქმის შესახებ, მხოლოდ შესცვალა ის მუხლი, რომელიც ეხება სეიმის დეპუტატის იაკოვიუკის განთავისუფლებას და მის ნაცვლად მიუსაჯა მას 4 წლის ციხე. ბელორუსიის წრეები აფასებენ განაჩენს, როგორც რეჟიმს ბელორუსიის წინააღმდეგ.

ილტვიან საბჭოთა რუსეთისაკენ

ვარშავა. 5 იანვარი. ლუცკში დაპატიმრებულია პეტლიურას 33 გამოჩენილი მიმდევარი, მათ შორის ცნობილი უკრაინელი მოღვაწე—პიროგოვი.

მძიმე ფინანსიური მდგომარეობა.

ვარშავა. 5 იანვარი. თავის მოხსენებაში პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ გრაბსკიმ აღნიშნა, რომ იზრდება ხაზინის დავალიანება. საემისიო დავალიანება 1 დეკემბრისათვის უდრიდა 42 მილიარდს და 1 იანვარს ავიდა 91 მილიარდ პოლონურ მარკამდე. ვალიუტის დაცემის გამო, პირდაპირი გადასახადები ფარავენ მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების 8 პროცენტს. გადასახადის შემოსავალი უმნიშვნელოა. პოლონური მარკის დაცემა გრძელდება, მიუხედავად აქტიური სავაჭრო ბალანსისა, ვინაიდან სახელმწიფოს არ ძალუძს დააკმაყოფილოს მოთხოვნილება ვალიუტაზე. საჭიროა გადიდებული იქნეს ჯამაგირები სახელმწიფო მოხელეებისა და არმიისათვის. გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან გრაბსკი ხედავს გადასახადების გადიდებაში; ამავე დროს მემამულეებისათვის არ იქნება გადიდებული გადასახადი მიწაზე. სავალიუტო რეფორმა შესაძლებელი იქნება დეფიციტის დასაფარავი ფონდის დაგროვების შემდეგ.

საფრანგეთი და სამხრეთ-სლავია

ხელშეკრულება საფრანგეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის.

ხელშეკრულების საფუძველი.

ვენა. 5 იანვარი. ბელგრადის გაზეთი „ახალი ამბები“ იტყობინება, რომ საფრანგეთი სამხრეთ-სლავიასთან მოლაპარაკებაში, მომავალ საკავშირო ხელშეკრულების საფუძვლად აყენებს საზავო ხელშეკრულების დაცვას, ევროპის ეკონომიურ აღორძინებას ჰოგინცოლლერნების გერმანიაში დაბრუნებისათვის წინააღმდეგობის გაწევას და გალაშქრებას უნგრეთის მოთხოვნილების წინააღმდეგ ტრიანონის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

სამხედრო შეთანხმება ხელშეკრულებაში არ არის შეტანილი, მაგრამ გენერალურმა შტაბებმა შეთანხმებით უნდა იმუშაონ. საფრანგეთი და სამხრეთ-სლავია მოვალენი არიან გამოაქვეყნონ ომის წინ დადებული პოლიტიკური ხელშეკრულებები.

ამერიკის კომპარტიის ყრილობა

ყრილობის შედეგები.

ნიუ-იორკი. 5 იანვარი. დასრულდა „უორკერის პარტიის“ (ამერიკის კომპარტია) ყრილობა ჩიკაგოში. არჩეულია პარტიის ცეკა 13 კაცისგან, მათ შორის ფოსტერი, რუტენბერგი, პეპერი და სხვ. ერთხმად მიღებულია გადაწყვეტილება პროფკავშირების რეორგანიზაციის შესახებ. მოწონებულ იქნა „უორკერის პარტიის“ შეერთება მუშათა-ფერმერების პარტიასთან.

აღმასკომის სხდომაზე გაიმართა გაცხარებული კამათი ფოსტერის და პეპერის ჯგუფებს შორის. უკანასკნელი აღნიშნავდა, რომ პირველ რიგში უნდა იქნას წამოყენებული უმუშევართა ორგანიზაციის და არა პროფკავშირების რეორგანიზაციის ლოზუნგი.

მიღებულია რეზოლიუციები, რომლებიც მოითხოვენ პარტიის ყველა წევრების აქტიურ მუშაობას პროფკავშირებში, კომინტერნისადმი თანაგრძნობას, უკანასკნელის რეზოლიუციის მოწონებას—სამხრეთ ამერიკაში, ევროპაში და აზიაში ამერიკულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ერთა ლიგის წინააღმდეგ და აგრეთვე რეზოლიუცია საბჭოთა რუსეთის ცნობის სასარგებლოთ.

ყრილობამ მოიწონა ცეკას გადაწყვეტილება 13 იანვრიდან პარტიულ ყოველ დღიურ გაზეთის „დეილი უორკერის“ გამოცემის შესახებ. მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუცია, რომელიც წინადადებას აძლევს ცეკას გააძლიეროს მუშაობა გამოჩენილ ფერმერთა შორის.

ამინდი ევროპაში და ამერიკაში

ყინვები ვენეციაში.

რომი, 7 იანვ. ვენეციაში უჩვეულო მოვლენას აქვს ადგილი: შინაგანი არხები, ნაპირი ლიდოსთან და ლაგუნთან გაყინულია. ძლიერი სიცივეებია. ბოლონიაში და მანტუეში მოდის თოვლი. ზემო ადიჯის რაიონში ზვავით დანგრეულია რკინის გზა ლაგუნისაკენ.

ტიროლში უჩვეულო სიცივეა. ხმელთა შუა ზღვაზე საშინელი ქარბუქია, რომელიც ხელს უშლის საფოსტო გემების მიმოსვლას.

ნიუ-იორკში საშინელი სიცივეა. შაბათს გაჰყინა 12 კაცი. ჩიკაგოში ყინვა აღწევს 16 გრადუსამდე. მინეზოტში—30 გრადუსამდე.

სხვადასხვა

საფრანგეთი

დეპუტატი-შარლატანი.

პარიზი. 3 იანვ. საფრანგეთის სისხლის სასამართლომ ერთი წლის ციხე გადაუწყვიტა დეპუტატ გადმას შარლატანობისათვის.

წყალდიდობა.

პარიზი, 4 იანვარი. მდ. სენაზე წყლის ადიდება გრძელდება. განაპირა უბნები წყლით არის დაფარული. აუსტერლიცის ხიდის ახლო მდებარე სადგური დაკეტილია. მოსალოდნელია, რომ 2 დღის შემდეგ წყლის დონე მხოლოდ ერთი მეტრით იქნება იმაზე ნაკლები, რომელიც იყო 1910 წლის დიდ წყალდიდობის დროს. წყალდიდობა ემუქრება ვალანსის რაიონს. გრძელდება აგრეთვე გარონას ადიდებაც.

პარიზი. 4 იანვარი. პარიზში მიღებულია წინასწარი ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ. ეიფელის კოშკიდან ზღვის სანაპიროებს რადიოთი გაეგზავნათ გასაფრთხილებელი ნიშნები.

უნგრეთი.

კომუნისტი არ არის მხდალი.

ვენა. 2 იანვ ჰუნგრეთში ამ დღეებში იხილავდენ რკინისგზელის ჩიგეტკარის და 11 მუშის საქმეს, რომელთაც ბრალად ედებოდათ კომუნისტური პროპაგანდა. ჩიგეტკარმა გულწრფელად განაცხადა, რომ ის კომუნისტური პარტიის წევრია, რამაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დანარჩენ ბრალდებულებს. სასამართლომ მიუსაჯა ჩიგეტკარს 2 ნახევარი წლის ციხეში დაპატიმრება და შემდეგ ერთი წლით ჰუნგრეთიდან გადასახლება.

შემთანხმებლები კომუნისტების წინააღმდეგ.

ვენა. 3 იანვ. ჰუნგრეთის სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ რა საყოველთაო პოლიტიკურ ამნისტიას, თანახმანი არიან დაუშვან გამონაკლისი, რომლის ქვეშაც იგულისხმებიან მხოლოდ კომუნისტები.

კომპარტიის დელეგაციამ მოითხოვა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან დაპატიმრებულების განთავისუფლება.

„ადამიანის უფლებების დაცვის ლიგაც“ კი აცხადებს პროტესტს მასიურ დაპატიმრებათა წინააღმდეგ, მოითხოვს ტერორის შეწყვეტას და განსაკუთრებულ მდგომარეობის გაუქმებას.

დანია.

ქურდი—თავადის ასული.

კოპენჰაგენი. 3 იანვ. კოპენჰაგენში დააპატიმრეს რუსი ყოფ. თავადის კოზლოვსკის ასული, რომელმაც ბრილიანტები მოიპარა. პოლიციის ცნობით კოზლოვსკაიას სხვა მრავალი ქურდობა აქვს ჩადენილი.

რუმინეთი.

ახალი შეთქმულების „აღმოჩენა“.

ვენა. 6 იანვ. რუმინეთის ოფიციალურ ცნობების თანახმად, პანარჯიკში აღმოაჩინეს კომუნისტური ორგანიზაცია, რომელსაც კავშირი ჰქონდა ბულგარეთის კომპარტიასთან ჩხრეკის დროს ორგანიზაციის შენობაში, თითქოს, იპოვეს საიდუმლო მიწერ მოწერა და ასაფეთქებელი მასალები.

საპროტესტო შიმშილობა.

ვენა. 3 იანვ. რუმინეთის კომპარტიის დაპატიმრებულმა ბელადმა პაუკერმა და მისმა ცოლმა გამოაცხადეს შიმშილობა.

იაპონია

ახალი კაბინეტი

ბერლინი. 7 იანვარი. რეგენტის დაბეჯითებითი თხოვნის შემდეგ კიურამ შეადგინა ახალი კაბინეტი. გარეშე საქმეთა მინისტრია იში.

საბერძნეთი.

ვენიზელოსი პლებისციტს ემხრობა.

ლონდონი. 7 იანვარი. ვენიზელოსი მმართველობის ფორმის საკითხში ემხრობა პლებისციტს.

ვენიზელოსი—პარლამენტის თავმჯდომარე.

ლონდონი 7 იანვ. ვენიზელოსი 375 ხმიდან 345 ხმით არჩეულია საბერძნეთის პარლამენტის თავმჯდომარეთ.

ვენიზელოსი მრჩევლის როლში.

ვენა. 2 იანვ. ათინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ვენიზელოსი არ შეუდგება მთავრობის შედგენას და ითამაშებს მხოლოდ მრჩევლის როლს. ვენიზელოსი მომხრეა კოალიციონურ მთავრობის.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეორე ყრილობა

მეორე დღე.

დილის სხდომა.

თავმჯდომარეობენ მორიგეობით ამხ. ამხ ამბარცუმიანი და ბუნიატზადე.

კამათი მუშათა და გლეხთა მთავრობის მოხსენების გარშემო.

იწყება კამათი სახ. კომ. საბჭოს მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობას ღებულობენ ყველა რესპუბლიკების წარმომადგენელნი, რომელნიც ზოგადათ აკრიტიკებენ მთავრობის მოქმედებას სხვადასხვა დარგში.

ამხ. ლომინაძე ეხება სწავლა-განათლების დაყენების საქმეს, რომელიც დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. სწავლის საჭიროება ყველა რესპუბლიკებში დიდია და არსებული შტატი მასწავლებლებისა ამ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. სოფლად თვითეულ მასწავლებელს უხდება 100 მოწაფესთან მეცადინეობა, გარდა ამისა მეტად მაღალი სასწავლო ნივთების, წიგნების ფასი, რაც ღარიბი მოსახლეობის ბავშვებისათვის მეტად მიუწდომია. აღნიშნავს რა ამას, ამხანაგი მოითხოვს ცენტ. აღმასკომმა მიაქციოს სახ. განათლების საქმეს მეტი ყურადღება და ამ საჭიროებისათვის უფრო მეტი თანხა გადასდოს.

ამხ. კახუმოვი შტატის შემოკლებას აზერბეიჯანში გასავლის შემცირების მიზნით მიზანშეწონილად აღიარებს. საქმე იმაშია, რომ დღეს აზერბეიჯანში ნაციონალიზაციის და ახალი თურქული ანბანის შემოღების გამო, საქმის წარმოება ხდება რუსულად და თურქულად ორ ალფავიტით. ეს კი მოითხოვს მოსამსახურეთა მეტ რიცხვს, რაც აუცილებლად ანგარიშ გასაწევია.

შემდეგ ოპონენტი ეხება ველების მორწყვის საქმეს. მდ. მტკვრის ნაპირზე წყლის საქაჩავები დანგრეულია, ტრაქტორები დაშლილნი და დაჟანგულია და ამ მხრივ სრული უმოქმედობაა, და ბამბით ნათესი ველები არ ირწყვება. გლეხობა თავის მეურნეობას ვერ აუმჯობესებს, და თავის ნაწარმოებს ხელსაყრელ ფასებში ვერ ასაღებს. სამოქალაქო ომით დანგრეული ქალაქები უყურადღებოდ მიტოვებული და ყოველმხრივ ჩამორჩენილი არიან.

მუხტარ ალი-ზადე უმთავრესად ეხება აზერბეიჯანელ გლეხობის დღევანდელ მდგომარეობას. სოფელი, მისი თქმით, შიშველ-ტიტველია, რადგან ჯერ მას საქონლის შესაძენად საღსარი არ მოეპოვება და მერე ცუდად არის დაყენებული სოფლისათვის ფაბრიკატების მიწოდების საქმე. ამ გარემოების წყალობით მაკრატელის საკითხი აზერბეიჯანში უფრო მწვავედ სდგას. სოფლის ასეთ გაჭირვებას ამწვავებს სხვადასხვა სნეულება და განსაკუთრებით მალიარია, რომლის საწინააღმდეგოთ მიღებული ზომები დამაკმაყოფილებელი ვერ არის. სოფელს სარწყავი არხების გასაყვანად და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად არ ეძლევა სესხი, რის გამოც ჩამოქვეითების გზას ადგია განსაკუთრებით ბამბის მეურნეობა.

ამხ. გაბრიელიანი ეხება იმავე საკითხებს და აგრეთვე აღნიშნავს ხელფასის იმ განსხვავებას, რომელსაც ადგილი აქვს ა.-კ. რკინის გზის ხაზზე. ცენტრში მომუშავე მოსამსახურეები უფრო მეტს ღებულობენ, ვიდრე რ. გზის ხაზზე მომუშავენი მაშინ, როცა უკანასკნელთ უფრო მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა და ცხოვრებაც უფრო ძვირად უზით. ხაზზე მომუშავენი ჯამაგირს ღებულობენ არა ჩერვონცებით, როგორც ცენტრში, არამედ სერტიფიკატებით, რაც მათ ხელფასს უფრო ამცირებს.

ამხ. პოზდეევი განმარტებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომელთაც აღნიშნეს ხელფასის სხვადასხვაობა, და აგრეთვე ხსნის იმ მიზეზს, თუ რათ ეძლევა რ. | გზის მოსამსახურეთ სერტიფიკატები ჩერვონცების ნაცვლად.

ამხ. ყაზარიანი ეხება სომხეთის სხვადასხვა კუთხის დღევანდელ ვითარებას და ახასიათებს მეურნეობის მდგომარეობს. ბამბაზე მონოპოლიის შემოღება მას ამ მეურნეობის განსავითრებლად საზარალოდ მიაჩნია, რადგან მონოპოლია კერძო თაოსნობას ძირშივე ჰკლავს. საერთოდ მას საჭიროდ მიაჩნია მორწყვის საქმის განვითარება, რომელზედაც დამოკიდებულია ბამბის კულტურის აღორძინება სომხეთში.

სამეურნეო გადასახადი სისწორით ვერ იქნა სომხეთში გატარებული. საჭიროა ეს გადასახადის წესი შეიცვალოს და უფრო მოქნილი გახდეს.

დასასრულ, ლაპარაკობს ამხ. ისმაილოვი, რომელიც ხაზს უსვამს წინა ორატორების მიერ მთავრობის მოქმედებაში აღნიშნულ დეფექტებს.

სხდომა ნაშუადღევის 3 ნახევარზე წყდება.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. მუსაბეკოვი. საღამოს სხდომაზე გრძელდება კამათი ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გარშემო.

ამხ. კიაზიმოვის სიტყვა შეიცავს უთავრესად აზერბაიჯანის მოსახლეობის მდგომარეობის დახასიათებას ჯანმრთელობის მხრივ. მილიონ ნახევარი შეპყრობილია მალიარიით. საგრძნობლად გავრცელდა აგრეთვე ვენერიული ავადმყოფობა, განსაკუთრებით ზაქათალის და აღდაშის მაზრებში. ზედმეტია ლაპარაკი სასოფლო-მეურნეობის და მრეწველობის აღორძინებაზე, თუ ის მშრომელი მოსახლეობა, რომელმაც უნდა იკისროს ქვეყნის ეკონომიური აღდგენა, რამოდენიმედ მაინც არ გამოჯანსაღდა. ამიტომ აზერბეიჯანის ჭაობების დაშრობას საერთო ირრიგაციას და რესპუბლიკისთვის წამლების მომარაგებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება.

ამხ. პოპონოვი ეხება „ზაკვოდხოზის“ მოქმედებას, რომელიც ადგილობრივ ირრიგაციის დარგში მიაჩნია დაუკმაყოფილებლად.

ამხ. მუსაბეკოვი აცხადებს, რომ აზერბეიჯანის ნივთიერი საჭიროებანი დღემდე დაუკმაყოფილებელი რჩება და მოითხოვს, რომ ცენტ. მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს სოფელს.

ამხ. ბოლდატიევი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ კამათში მთავარი საგანი იყო მებამბეობის და წყლის მეურნეობის შესახებ საკითხები, რაც მოწმობს იმ გარემოებას, რომ ადგილებს შეგნებული აქვთ ამ საკითხის დიდი მნიშვნელობა. ცალკე დებულებათა განხილვის დროს ამხ. ბოლდატიევი არღვევს ორატორთაგან აღნიშნულ არა სწორ ცნობებს, და აცხადებს, რომ ველების მორწყვისათვის ყველა რესპუბლიკებს დაახლოვებით თანაბარი დახმარება მიეცათ. საერთოდ „ზაკვოდხოზი“ სცდილობს თავისი მოქმედება შეუფარდოს თვითეული რესპუბლიკის ნამდვილ საჭიროებას და მოთხოვნილებას.

ამხ ორახელაშვილის საპასუხო სიტყვა.

ამხ. ორახელაშვილი თავის საპასუხო სიტყვაში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ორატორთა უმრავლესობა ეხება ისეთ საკითხებს, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ უმთავრესად ცალკე რესპუბლიკათა ყრილობების განხილვის საგანი (მაგ. ჯანმრთელობის საქმე, დანგრეული ქალაქების აღდგენა და სხვა) შემდეგ მომხსენებელი მარტავს იმ მიზეზებს, თუ რატომ იხარჯება საქართველოს ამა თუ იმ უწყებაზე უფრო მეტი, ვიდრე სხვაგან. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ცენტრალური აღმასკომისაგან გაკეთებული საქმეები მოწმობენ ჩვენი გზის სისწორეს და იძლევა მტკიცე რწმენას, რომ მიმავალი წელი იქნება უფრო ნაყოფიერი.

ამხ. ხანბუდაგოვს მუშათა და გლეხთა მთავრობის მოქმედების შესახებ შემოაქვს ასეთი რეზოლიუცია: „მოისმინა რა ა. კავკასიის მუშათა და გლეხთა მთავრობის ანგარიში, ა. კავკასიის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა მეორე ყრილობა სავსებით იწონებს თავის მუშათა და გლეხთა მთავრობის მოქმედებას.

რეზოლიუცია მქუხარე ტაშის ცემით ერთხმად მიღებულია.

საკავშირო ხელშეკრულების რატიფიკაცია

(მომხსენებელი ამხ. მიხა ცხაკაია).

ამხ. ცხაკაია, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით ეგებება, ეხება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წარმოშობის ისტორიას და მისი დაარსების მიზეზებს. ამ ჟამად რესპუბლიკათა კავშირი სავსებით ჩამოყალიბებულია და შედგენილი აქვს კონსტიტუცია, რომლის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ყველა რესპუბლიკების წარმომადგენლებმა. ყრილობამ უნდა დაადასტუროს ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად მშრომელთა ინტერესი ედება და აგებულია კლასიურ თვალსაზრისზე და ამავე დროს დაავალოს სრულიად საკავშირო ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატებს, რომ მედგრად დაიცვან იგი, როგორც ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის გვირგვინი (ტაში).

ამხ. ორახელაშვილს შემოაქვს შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. ცხაკაიას მოხსენება კონსტიტუციაზე, —საბჭოთა რესპუბლიკების ძირითად კანონზე, ა.-კავკასიის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების მეორე ყრილობა ამტკიცებს მას (რატიფიკაციას უწერება) და ავალებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და ორგანიზაციას თავის მუშაობაში იხელმძღვანელოს ხსენებული კონსტიტუციით.

რეზოლიუცია ყრილობის მიერ ერთხმად მიღებულია.

მესამე დღე.

დილის სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობა.

(მომხსენებელი ამხ. მიასნიკოვი).

მომხსენებელი მთელი ამიერ-კავკასიის მეურნეობას სამ ჯგუფად ჰყოფს: ჩაკეტილი მეურნეობა (დამოუკიდებელი, (ცალკე,—რესპუბლიკანური), გაშლილი მეურნეობა (საერთო ამიერ-კავკასიური) და კომბინაციური მეურნეობა, რომელიც რაღაც საშუალოს წარმოადგენს ჩაკეტილსა და გაშლილ მეურნეობას შორის.

ჩაკეტილი მეურნეობის დარგში, მომხსენებლის აზრით, გადადგმულია ნაბიჯი წინ. გასულ წელს დათესილი სივრცე უკვე უდრიდა ომის წინა დროინდელს დათესილ სივრცეს და შეგროვილი ხორბლეულის რაოდენობაც ომის წინადროინდელს უდრის.

გადადის რა ცალკე რესპუბლიკების მეურნეობათა შეფასებაზე, მომხსენებელი აღნიშნავს რომ აზერბეიჯანში,—სასოფლო-სამეურნეო და ამავე დროს სამრეწველო ქვეყანაში არის დიდი შესაძლებლობა მეურნეობის განსავითარებლად, მაგრამ საბრუნავ საშუალებათა უქონლობა აბრკოლებს სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის წინსვლას.

მიწის რეფორმა, ადგილების სოფლებს შორის განაწილების მხრივ, უკვე დასრულებულია და ამ ჟამად ტარდება სოფლის მცხოვრებთა შორის მიწის ნაკვეთების განაწილება. მიწის რეფორმის დასრულების შემდეგ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს აზერბეიჯანში მორწყვის საქმეს, რომელიც შედარებით სხვა რესპუბლიკებთან აზერბეიჯანში ჩამორჩენილია. აზერბეიჯანის სოფელი მეტად დაზარალდა და ყველაზე უფრო საჭიროებს დახმარებას სასოფლო მეურნეობის წარმატება სავსებით დამოკიდებულია მორწყვის საქმის დაყენებაზე. საერთოდ, აზერბეიჯანის მრეწველობას დიდი მომავალი აქვს.

საქართველოში მრეწველობა, თუმც ნაკლებაა განვითარებული, მაგრამ საქ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ უფრო მეტი საქმის გაკეთება მოახერხა, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ მან შესძლო მრეწველობის ყოველი დარგის თავის უწყებაში გაერთიანება. სულ საქ. ს. მ. უ. ს. ხელში თავს იყრის 59 წარმოება 3.600 მუშით.

თავის მუშაობის დროს ს. მ. უ. ს. ხელმძღვანელობდა იმ პრინციპით, რომ ჯერ რიგიანად მოეწესრიგებია ის, რაც გააჩნია, და შემდეგ ეზრუნა მისი განსავითარებლად. საქართველოში, შედარებით სხვა რესპუბლიკებთან, სჭარბობს უმაღლესი კულტურა. სასოფლო მეურნეობა საქართველოში ტეხნიკურადაც უფრო მოგვარებულია, მაგრამ მის სწრაფ განვითარებას წინ ეღობება კარჩაკეტილობა. საერთოდ სასოფლო-მეურნეობა საქართველოში სწორ გზაზე არის შემდგარი. რაც შეეხება [illegible], მრეწველობა [illegible] სრულიად არ არის, მისი [illegible] სასოფლო-მეურნეობა, რომელიც [illegible] უნდა დაემყაროს ძვირფასი კულტურის განვითარებას და გამოვიდეს კარჩაკეტილ მდგომარეობიდან. არხების გაყვანა ველების მოსარწყავად უკვე სწარმოებს, რაც აუცილებლად გაადიდებს ბამბის სათეს სივრცეს.

საერთოდ მთელ ამ.-კავკასიის სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად აუცილებელია წყლის მეურნეობის გაფართოვება და მაღალ კულტურის მცენარეთა არეს გადიდება.

შეეხო რა ა. კავ. წყლის მეურნეობას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქმის წარმატებისათვის საჭიროა ადგილებმა და ცენტრმა მუშაობა ერთმანეთს შეუთანხმონ. ითვალისწინებს რა ყრილობა მუღანის ველის მნიშვნელობას, თუ კი მის ექსპლოატაციას სათანადო ყურადღება მიექცევა, მომხსენებელი გადადის ე. წ. გაშლილ მეურნეობის დახასიათებაზე.

ფინანსიურ დარგში ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ა | კ. ფულის ნიშნების განსამტკიცებლად. აუცილებლად უნდა შემცირებულ იქნეს ემისია, რომლის იმედით დარჩენა რესპუბლიკებს არ მართებს. ყურადღება უნდა მიექცეს გადასახადების წესიერად მოგვარებას, საქმის ორგანიზაციულ მხარეს ადგილების ინიციატივას და დახმარებას. მომავალ წელს გადასახადი უნდა აკრებილ იქნეს არა ნატურით, არამედ ფულის ნიშნებით,—ეს გააჯანსაღებს ჩვენს ფინანსებს.

საგარეო ვაჭრობის სფეროში, ჩვენ შემოღებული გვაქვს მონოპოლია, რაც საშუალებას გვაძლევს ყველა რესურსები საკუთარ ხელში ვიქონიოთ.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლიამ ნაყოფი გამოიღო; 1923 წელს ჩვენ რესპუბლიკის გარეთ გავიტანეთ 250 მილიონი ჩერვონცის მანეთი საქონელი, ხოლო შემოვიტანეთ 500 მილიონი ჩერ. მანეთის.

23 წლის ოქტომბერში გავიტანეთ 1 მილიონის და 25 ათასი მანეთის, შემოვიტანეთ 1 მილიონი მანეთის საგნები.

ჩვენი რკინისგზები ამ ჟამად უკვე დეფიციტებს აღარ იძლევიან, ხოლო ნაყოფიერება რკინისგზებისა უდრის ომის წინადროის ნაყოფიერების 60 პროცენტს.

სამუშაო ხელფასი ა. | კავ. რესპუბლიკის ბიუჯეტის 60 პროცენტს შეადგენს. ჩერვონცის ანგარიშზე გადასვლით, ჩვენ უზრუნველვყავით ხელფასის რეალური ღირებულება, რომელსაც ეტყობა თანდათანობითი ზრდა და [illegible] საკენ.

უკეთებს რა დასკვნებს თავის დებულებას, ამხანაგი მიასნიკოვი მოითხოვს ჩვენი მეურნეობის წარმართვას განსაზღვრული სამეურნეო დარგების განვითარების მიმართულებით (თამბაქო, ბამბა, ჩაი მეაბრეშუმეობა და სხვა).

უმაღლესი ეკონომიური საბჭო

ეკონომიური პირობები უკარნახებენ ა | კ. რესპუბლიკებს პოლიტიკურ შემჭიდროება - გაერთიანებას. ეკონომიური ერთობა პოლიტიკურ გაერთიანების გარეშე წარმოუდგენელია.

უმაღლესი ეკონომიური საბჭო შექმნილია ამ ეკონომიური გაერთიანებისათვის, მაგრამ მუშაობის გაფართოვება არ მოხერხდა, რადგან არ გვქონია ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი ამშენებლობის გეგმა (გოსპლანი).

ა.-კ. რესპუბლიკებს აქვთ ფონდები, ხოლო ამიერკავკასიის სახ. კომ. საბჭოს ემისია, საჭიროა ფონდების აღრიცხვა, რომელსაც კომისია შეასრულებს. „გოსპლანი“ საფონდო კომისიის მიერ მოცემული ცნობებზე დაწყარებული შესძლებს საქმის წარმართვას მტკიცე გეგმის მიხედვით.

შემდეგ, დასასრულ, ამხ. მიასნიკოვი ყრილობას უდგენს თეზისებს, სადაც იგი უჩვენებს კონკრეტიულ საშუალებებს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ასაღორძინებლად.

წითელ რესპუბლიკებში

თურქესტანი

ახალი მიწისძვრა.

ტაშკენტი. 7 იანვარი. 4 იანვარს სეისმოლოგიურ სადგურზე აღნიშნულია ახალი მიწის ძვრა 5 ბალის სიძლიერით. უკანასკნელი მიწის ძვრის დროს, მიუხედავათ მისი ნაკლები სიძლიერისა, ინგრევა შენობები.

ყირგიზეთი

სრულიად ყირგიზეთის საბჭოთა ყრილობა.

ორენბურგი. 7 იანვარი. სრულიად ყირგიზეთის საბჭოთა მეოთხე ყრილობაზე მოხსენებები და კამათი სწარმოებს ყირგიზულ და რუსულ ენაზე.

რუსეთი.

„მაკრატლის“ პირები ახლოვდებიან

მოსკოვი. 7 იანვარი. სრულიად რუსეთის საქონლის საყოველთაო ინდექსი 1 იანვრისათვის სახელმწიფო გეგმის სამმართველოს აღრიცხვით შეადგენდა 3781 მანეთს. დეკემბრის უკანასკნელ 10 დღის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ბაზარზე ძლიერ აიწია საბითუმო ფასებმა. ფასების ზრდა გამოიხატა 35 ნახ. პროც.-ით, ხოლო თვის მეორე მესამედში ფასებმა მხოლოთ 26,4 პროც.-ით აიწია, სასოფლო მეურნეობის საგანთა ფასების ზრდა გრძელდება. „მაკრატლის“ პირები დაახლოვდენ კიდევ ოთხი პუნქტით.

„გლეხთა ინტერნაციონალი“.

მოსკოვი. 7 იანვარი. გლეხთა საერთაშორისო საბჭო იანვრის დამლევს გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალის „გლეხთა ინტერნაციონალის“ პირველ ნომერს. ჟურნალი გამოდის რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. იმავე დროს დაიწყება „საერთაშორისო გლეხთა ბიბლიოთეკის“ გამოცემა. იგი შეიცავს პოპულარულ—მეცნიერულ წიგნებს საგლეხო და აგრარულ საკითხებზე. წიგნები გამოიცემა 4 ენაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნები გამოიცემა მსოფლიოს ყველა მთავარ ენაზე. ყოველი წიგნის საშუალო ტირაჟი 10.000 ცალს უდრის.

უკრაინა.

დახმარება მცირე ერებს.

მოსკოვი. 7 იანვ. რ. ს. ფ. ს. რ-ის სახ. კომ. საბჭომ გაუღო კრედიტი 49 950 ჩერვ მან. რაოდენობით თათართა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საბავშვო სახლებს და, აგრეთვე, 60.000 ჩერვ მან.—კალმიკურ ოლქს ადგილობრივ მოსახლეობის მუდმივ ბინადრობაზე გადაყვანის ხარჯისთვის.

მომგებიანი სესხის ტირაჟი

მოსკოვი. 7 იანვარი. 6 იანვარს დასრულდა სახელმწიფო მომგებიანი სესხის ტირაჟი. მოიგეს:

1.000 მან.
სერია 01
№№ 0,397—042
სერია 02
№№ 0,041—66
სერია 3
1,465—870
1,330—909
1,732—707;
სერია 04
№№ 1,861—892;
სერია 05
№№ 0,464—803
0,400—165
1,178—057
0,940—312
1,861—541,
სერია 06
№№ 0,279—623
1,832—025
1,208—151
სერია 07
№№ 702—765
1,113—605;
სერია 08
№№ 0,191—994
675—727
1,089—870
1,502—345
1,869—535
სერია 09
№№ 0,820—454
1, 209—004
1,869—535;
5.000 მანეთი.
სერია 02
№ 0,108—931;
სერია 04
№ 0,755—633;
სერია 05
№ 0,406—931;
სერია 06
№ 1,008—2113;
სერია 07
№ 011—059
10.000 მან.
სერია 02
№№ 0,351—444.
სერია 08
№№ 1,621—225.
25 000 მან.
სერია 03
№№ 1,753—111.
100 000 მან.
სერია 04
№№ 1,735—410

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

ფასების დაწევა.

ბათომი. 6 იანვარი. ამიერ-კავკასიის სამრეწველო განყოფილებაში „ზოლე“—ა. კ. ც. არმიის ყველა მაღაზიებში სწარმოებს საქონლის ხელახალი შეფასება. ბევრ საქონელზე შესამჩნევად უკლებენ ფასებს.

ფორთოხალი ოსმალეთიდან.

ბათომი. 6 იანვარი. ოსმალეთიდან ბათომში შემოვიდა ფელუგებით და ნავტირებით ღიდძალი ფორთოხალი. ფასები ძალიან იაფია. მსხვილი ფორთოხალი იყიდება თითო ათეული 12—15 მილიონად.

უმუშევარ მკერვალთა არტელი.

ბათომი. 6 იანვარი. მკერვალთა ადგილკომმა მოაწყო არტელი უმუშევარ მკერვალებისა. არტელში 1. კაცი მუშაობს. კავშირის წევრები შეღავათიან ფასად უსრულებენ სამუშაოს.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის სიღნაღის სამაზრო კომიტეტის მუშაობა ნოემბერში

ორგანიზაციული მუშაობა. სამაზრო კომიტეტის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა იმ სუსტი მხარეების გამოსწორება, რომელიც ემჩნეოდა მუშაობას. ასეთი იყო მაგალითად: სამაზრო კომიტეტის კანცელარიის მოუწესრიგებლობა, საინფორმაციო-სასტატისტიკო ქვე-განყოფილების სისუსტე, რაიკომის მდივნების თავაშვებულება, რაც გამოიხატებოდა სამაზრო კომიტეტისადმი შესაფერი ყურადღების მიუქცევლობაში—საერთოდ ორგანიზაციაში დისციპლინის სისუსტე და სხვა. მიღებული ზომების შემდეგ, მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და მუშაობა თანდათან სდგება თავის კალაპოტში.

რაიკომის მდივნების პოლიტიკური მომზადების გამოსარკვევად და საერთოდ მათი უნარიანობის გასაცნობათ შემოვლილი იქნა რაიონები სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორისა და პრეზიდიუმის წევრების მიერ. ცოცხალი კავშირის გარდა არსებობდა საკმაო ინტენსიური წერილობითი კავშირიც—სხვადასხვა ცირკულიარების და მიწერ-მოწერის სახით. წერილობითი კავშირი მჭიდრო იყო აგრეთვე ცეკასთანაც და სხვადასხვა საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანოებთან.

თვის ბოლოში ორგანიზაციაში ირიცხებოდა 472 წევრი და 28 კანდიდატი, 5 რაიონი და 44 უჯრედი. 70 ამხანაგი ორგანიზაციის წევრები გადაყვანილი იქნენ პარტიაში.

სააგიტ-საპროპაგანდო მუშაობა. მუშაობას ამ დარგში ხელს უშლის მაზრის კულტურულათ ჩამორჩენილობა. თვით კავშირში ითვლება 10 პროც. წერა-კითხვის უცოდინარები. ამათთვის წერა-კითხვის შესასწავლად მუშაობს ხუთი სკოლა. ამას გარდა არსებობს 10 პოლიტიკური და ერთი მარქსისტული წრე, მაგრამ მუშაობა მათში სუსტად მიმდინარეობს, რაც აიხსნება ხელმძღვანელების უყოლობით. კომკავშირს აქვს აგრეთვე 6 კლუბი და ორი დრამ-წრე. ჩატარებულ იქნა 20 ნოემბრის კამპანია; ამას გარდა კომკავშირის ორგანიზაციამ მხურვალე მონაწილეობა მიიღო 7 ნოემბრის დღესასწაულის ჩატარებაში.

ყველა რაიონებში გამოყოფილია ახალგაზრდა კორესპონდენტები, რომლებიც აშუქებენ პრესაში კომკავშირის ცხოვრებას. ადგილობრივ გაზეთებში უთმობენ კომკავშირს ორ კვირაში ერთხელ ფურცელს. მოგვარებულია აგრეთვე ლიტერატურის განაწილების საქმეც. სამაზრო აღმასკომი უწერს კავშირს ას ცალ გაზეთ „სპარტაკს“ და 25 ცალს ჟურნალ „მომავალს“. კომკავშირის განკარგულებაში არის მაზრის მასშტაბით 10 სამკითხველო.

მუშაობა „სპარტაკში“. სიღნაღის ორგანიზაცია „სპარტაკისა“ აერთებს 90-წევრს, რომელთა უმრავლესობა ღარიბი გლეხების შვილებია.

ამ მუშაობასაც ჯეროვანი ყურადღება ექცევა სამაზრო კომიტეტის მიერ. ორგანიზაციაზე მიმაგრებულია ერთი ექიმი და ერთი აგრონომი. გამოყოფილია სპეციალური კოლეგია სოციალური აღზრდის საქმის საწარმოებლად.

მუშაობა უპარტიო ახალგაზრდობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია მუშაობა მოწაფეობაში. სამაზრო კომიტეტმა შესძლო განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით მოწაფეობის 70 პროც. განთავისუფლება სწავლის ფულის გადახდისაგან. ამასთან ჩვენი უჯრედები ტეხნიკუმებთან აწარმოებენ ინტენსიურ მუშაობას, მოწაფეები მონაწილეობას ღებულობენ კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში. ყველაფერმა ამან კავშირს მოუპოვა ავტორიტეტი და დღეს ჩვენი გავლენის ქვეშ იმყოფება მოწაფეობის უმრავლესობა.

კომკავშირელი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(8 იანვარი).

ჩერვონცები — — —	520,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	503,000
ჩეკები —	503.000
დოლარები ეფექტ. —	116,000
ჩეკები —	105.000
ოსმ. ქაღ. ლირა	74.000
იტალიური ლირა	4400
ფრანგული ფრანკი	5700
საბჭ. ფულის ნიშნები	15 მან.

მუშკოოპის ფასები

(7 იანვარი)

პური 1 ხარ.—2500 ათ., პური 2 ხარ—2000. ათ. ძროხის ხორცი—9000 ათ. ღორის ხორცი 10,000 ათ. შაქარი რაფინადი — 26,000 ათ. ფხვნილი შაქარი—15,500 ათასი ბრინჯი ალდ. 4000 ათ. კარტოფილი—500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(7 იანვარი).

პური 1 ხარ.—3500 ათასი, პური 2 ხარ.—2500 ათასი, ძროხის ხორცი 12000 ათ. ცხვრის ხ.— 15000. შაქარი რაფინადი—27500 ათ., შაქარი ფხვნილი 16,500 ათ. ბრინჯი ალდ.—6000 ათ , კარტოფილი 1000 ათ.

ბირჟის მიწოდება.

ღვედები (აქლემის ტყავის); „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია; „ურალმეტ“-ის პროდუქცია, ხორბლეული, და სხვა პურეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რბილი), შვეიცარული ყველი, „კოსინდიკატ“-ის პროდუქცია, ბორჯომის ქარხნის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახალხო მეურნეობის საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია, საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ. ნოვორ. ცემენტი და ეტერნიტი, ქვამარილი ნახიჩ., სალომასი.

ბირჟის მოთხოვნილება.

მაკარონი და ვერმიშელი—1-ლი ხარისხის, ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, ტეხნიკური ცხიმი, ხორბალი და სხვ. პურეულობა, „კოსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი, რაფინადი და ფხვნილი, რუსეთის მანუფაქტურა, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის ფქვილი (საკონდიტრო), ლურსმნები, ჩაი, რუს. ასანთი, ქვა-მარილი ნახიჩ.

ოფიციალური გარიგებანი.

ყუბანის ფქვილი 2 მ. 25 კ. ფუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი.

მუხის ნაპრები (клепка) 40 კ. ცალში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი და 42 კაპ.—ფრანკო სადგური ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ბაზრის საერთო განწყობილება—უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი, გარდა გირ. სტერლინგისა, რომლის კურსმა ცოტად დაიწია,—უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი.

4 იანვარს ბირჟის გარეშე დადებულია 13 გარიგება, სულ 26457 ჩ. მან. თანხისა.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(8 იანვარი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.—	520.000,	60 კ.—	31.200.000
2 „—	1.040.000,	70 „—	36.400.000
3 „—	1.560.000,	80 „—	41 600.000
4 „—	2.080.000,	90 „—	46.800.000
5 „—	2.600.000,	1 მ.—	52 000.000
6 „—	3.120.000,	2 „—	104.000.000
7 „—	3 640.000,	3 „—	156.000.000
8 „—	4.160.000,	4 „—	208.000.000
9 „—	4.680.000,	5 „—	260.000.000
10 „—	5.200.000,	6 „—	312.000.000
20 „—	10 400.000,	7 „—	364.000.000
30 „—	15 600.000,	8 „—	416.000.000
40 „—	20 800.000,	9 „—	458.000.000
50 „—	26.000.000,	1 ჩერ.	520.000.000

ამიერ-კავკასიის შინაური ვაჭრობის კომისიის მოქმედება

(1923 წლის 13—31 დეკემბრამდე).

ამიერ-კავკასიის ეკონომიური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები. ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულმა შინაური ვაჭრობის კომისიამ დაიწყო თავისი მოქმედება 1923 წლის 13 დეკემბერს. ამიერ-კავკასიის ეკონომიური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები მოითხოვდენ შინაგანი ვაჭრობის დაკვრითი წესით მოწესრიგებას ფედერაციის ტერიტორიის ფარგლებში. ამიერ-კავკასია ხმარობს უმეტესად სხვა ქვეყნებიდან შემოტანილს საფაბრიკო-საქარხნო საქონელს. ამჟამად ეს საქონელი შემოდის უმთავრესად რუსეთიდან. სამრეწველო ცენტრებიდან დაშორება ისეთ მდგომარეობას ხდიდა, რომ ფასების დაკლება ცენტრში ამიერ-კავკასიამდინ ისეთი დაგვიანებით მოდიოდა, რომ ადგილობრივი სავაჭრო პირობები უკვე აღარ შეეფერებოდა სამრეწველო ცენტრების ბაზრების კალკულიაციას.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური ცხოვრების საგანგებო პირობების აღრიცხვაში საჭიროა აღ ნიშნოს აგრეთვე სხვა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორები: სახელმწიფო ორგანოების სავაჭრო აპარატების და კოოპერაციის სისუსტე და ის სპეციფიური ფინანსიური მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ამიერ-კავკასია.

სახელ. სავაჭრო ორგანოები და კოოპერაცია

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში ირიცხება სულ 375 სახელმწიფო სავაჭრო და 371 კოოპერატივი; იმავე დროს კერძო სავაჭროების რაოდენობა უდრის 20.181, ე. ი. 96,44 პროც. ამ რიგად ამიერ-კავკასიის ვაჭრობაში უპირატესობა ჯერ-ჯერობით ეკუთვნის კერძო კაპიტალს. აღსანიშნავია, რომ 375 სახელ. სავაჭროებიდან 211 მოთავსებულია რესპუბლიკების დედა-ქალაქებში, ხოლო 371, კოოპერატივიდან — 162 იმავე ქალაქებში. სოფელში მდგომარეობა, რასაკვირველია, უფრო ცუდია. 1923 წლის 1 იანვრის სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, რომ ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა საერთო რიცხვიდან კოოპერაციაში მონაწილეობას იღებს მოსახლეობის 23,83 პროც.

კერძოდ, საქართველოში, რომელშიც 1923 წ. 1 იანვარს ირიცხებოდა სოფლის მცხოვრები 2,237,746 კაცი, კოოპერატივებში მონაწილეობდა 1 მილიონ 169,298, ე. ი. 52,12 პროცენტი; აზერბეიჯანში ორი მილიონ 122,885 მცხოვრებიდან—119 ათას 652, ე ი. 5,63 პროც. და სომხეთში 1,104,092-დან—13,490, ე. ი. მხოლოდ 1,12 პროც. ამრიგად საქართველოს სოფლის მდგომარეობა ამ მხრივ გაცილებით უკეთესია, ვიდრე დანარჩენ მეზობელ რესპუბლიკების.

ა. კავკასიის ფინანსიური მდგომარეობა.

რაც შეეხება ამიერ-კავკასიის ფინანსიურ მდგომარეობას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟამად ამიერ-კავკასია ძვირფას კულტურების აღდგენის პროცესში იმყოფება (მაგ. თამბაქო, ბამბა, ჩაი, მატყლი და სხვ.), მრეწველობა სუსტად არის განვითარებული, შინაური სავაჭრო ბალანსი დეფიციტიანია. აქედან შედეგი—ჩერვონცების დიდი მოთხოვნილება და მცირე მიწოდება. თუ რუსეთში ჩერვონეცმა თითქმის სრულიად განდევნა ბაზრიდან საბჭოთა ფულის ნიშნები და ეხლა ოთხი მეხუთედი საერთო ფულის ბრუნვას უდრის, აქ, ამიერ-კავკასიაში სხვასა ვხედავთ: ქაღალდის ფულის ნიშნებს ჯერ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ ცხოვრებაში. ეს გარემოება, მსხვილი თანხების უქონლობასთან და ბანკების საკრედიტო პოლიტიკის მოუწესრიგებლობასთან ერთად, მეტად მტკივნეულად მოქმედობს ა. კ. სავაჭრო ბრუნვაზე.

ყველა ზემოხსენებულ მიზეზთა საერთო გავლენით აიხსნება ის მაღალი ფასები სამრეწველო საგნებზე ის ქაოსი და ფასების სხვადასხვაობა, რომლებით დახასიათდება ადგილობრივი ბაზარი. ფასთა ინდექსი სამრეწველო საქონელზე აქ გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთში, მაგალითად, წარსული წლის აპრილში მოსკოვში ინდექსი იყო (ჩერვონცებით)—0,17, ტფილისში 0,15; ოქტომბერში მოსკოვში იყო—0,21 და ნოემბერში 0,19, ტფილისში—კი ამ უკანასკნელ ორივე თვეში იყო 0,29, ე. ი. მოსკოვის ფასების შესამჩნევ დაკლებას სრულიად არ უმოქმედნია ტფილისის ფასებზე.

ა. | კ. შინა ვაჭრობის კომისიის დაარსება და მისი მიზნები.

მოყვანილ გარემოებათა გამო, უახლოეს ამოცანად დაისვა საკითხი საგანგებო ორგანოს დაარსების, რომელსაც უნდა მიენდოს ა. | კ. ვაჭრობის მოწესრიგება, ადგილობრივი პირობების მიხედვით, ე. ი. სათანადო ზომების მიღება სწორი სავაჭრო ორგანიზაციისთვის, საღა და მოქნილი სავაჭრო აპარატების შექმნა, მტკიცე ფასების განსაზღვრა ფართე მასისთვის საჭირო საგნებზე და სხვა ზომები, რომელთა საშუალებით მიეცემა საქონელი მოსახლეობას, განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებთ. მისაწვდომ ფასებში. ესე დაარსდა ა. | კ. შინა-ვაჭრობის კომისია, რომელიც სწრაფად შეუდგა დადებულ მიზნების განხორციელებას.

ა. კ. შინა-ვაჭრობის კომისიის მოქმედება.

პირველი ამოცანა, რომელიც იდგა კომისიის წინაშე, იყო შებრძოლება ფასების იმ სხვადასხვაობასთან, რომელიც სუფევდა ბაზარზე სამრეწველო საგნებზე,—მანუფაქტურაზე, მარილზე და კეროსინზე ე. ი. ფართე მასისთვის საჭმარებელ საქონელზე. ამ მხრივ მიღებული იყო შემდეგი ზომები: გაუქმებულ იქნენ—25 პროცენტიანი დამატებითი გადასახადი რკინის გზის ნორმალურ ფრახტზე, 2 პროცენტიანი გადასახადი—ტრანსპორტის განმანათლებელ საჭიროებისათვის, საგანგებო გადასახადი ვაგონების რემონტისათვის და სარეგისტრაციო გადასახადი საფონდო ბირჟის სასარგებლოდ ბირჟაზე დადებულ გარიგებებზე აღნიშნულ საგნებზე.

საყურადღებოა საქონლის დატვირთვის და გადმოტვირთვის ხარჯების მოწესრიგება, არსებული მდგომარეობა არანორმალური იყო: მაგ. „სოლსინდიკატ“-ის მარილის საზღვაო ფრახტი რუსეთიდან ფოთამდის იყო 10 კაპ. ფუთზე; იმავე დროს ფოთში გემიდან გადატვირთვა საწყობამდე, რომელიც ათ ნაბიჯზეა ნავთსადგურიდან, ღირდა 13 კაპ. ფუთზე, კომისიის მიერ დაწესებულია მხოლოდ 3 კ. ფუთში. აგრეთვე რკინისგზებზე დატვირთვა და ვაგონიდან გადმოტვირთვა, რომელიც უწინ ღირდა ფუთზე 2 და 3 კაპ., ეხლა დაკლებულია მეოთხედი და ნახევარ კაპეიკამდე. ამის შესახებ რკინის გზის სამმართველოს და დამტვირთველთა არტელის შორის დადებულია ახალი ხელშეკრულება.

საორგანიზაციო ხარჯები მანუფაქტურაზე, მარილზე და კეროსინზე დაწეულია 5 პროცენტით, მოგება საბითუმო ვაჭრობაში განსაზღვრულია 2 პროცენტით, ხოლო საწვრიმალო ვაჭრობაში—5 პროცენტით.

სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების და კოოპერატივების ფასები მანუფაქტურაზე, მარილზე, კეროსინზე და ნავთის ნაწარმოებზე დაკლებულია. მაგ. არშინი ჩითი ტფილისში 38 კაპიკიდან დაწეულია 31,5 კაპიკამდე (27,11 პროც.), საქართველოს სხვა ქალაქებში 50—60 კაპიკიდან 34 კაპიკამდე (43,33 პროც.), სოფლში—კი უფრო მეტად—70 კ.-დან 34 კაპიკამდე (51,42 პროც.)

კომისიის მიერ განსაზღვრულია ფასები მანუფაქტურაზე ა | კავკასიის ყველა სახელ. ორგანოების დუქნებში და კოოპერატივებში, მაგ. არშინი ჩითი—34 კ., მიტკალი—28 კ. ფასები კეროსინზე და მარილზე განსაზღვრულია რაიონებათ, რკ. გზის სადგურებთან მყოფ საწყობების სიშორის მიხედვით.

ფასების შემცირება მოხდა არა მარტო აქციზის, ფრახტის და სხვ. ხარჯზე, არამედ აგრეთვე თვით მოვაჭრე ორგანოების მოგებაზე და დამატებითი და საორგანიზაციო ხარჯებზე. მაგალითად, უწინ საორგანიზაციო და დამატებითი ხარჯები კეროსინზე იყო 45,02 კაპ., ეხლა 17,04 კაპ; მოგება—32,87 კაპ. ეხლა მხოლოდ 4,93 კ. კეროსინის საბითუმო ფასი ტფილისში იყო სულ 2 მ. 87,5 კ., ეხლა-კი 1 მ. 40,94 კ.

აღსანიშნავია ფასების დაკლება მაზუთზე, ნავთზე, ნავთის ზეთზე და ბენზინზე, რაც თავის მხრივ გამოიწვევს სათანადო დაკლებას კომუნალურ და სხვ. ხარჯების (განათების, წყლის მიწოდების, პურის გამოცხობის, აბანოების და სხვ.).

საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის

(ინჟ. გ. ახვლედიანის მოხსენების გამო).

საქართველოში საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები არსებობს. ნედლი მასალა საკმაო ბლომად მოგვეპოვება. მატყლის, აბრეშუმის და ბამბის წარმოებას ჩვენში დიდი ნიადაგი აქვს (აგრეთვე შეიძლება სელის წარმოების გაჩაღებაც), მხოლოდ ვერ ხდება მათი მიზანშეწონილი და სარგებლიანი გადამუშავება და გამოყენება. მეტად გავრცელებულია ჩვენში შინამრეწველური სახით შალების და დარაიების ქსოვა, ზოგ ადგილებში აგრეთვე ხალიჩების, ნაბდის ქუდების და სხ. კეთება, მაგრამ ამ საქმეს ესაჭიროება სასურველ კალაპოტში ჩაყენება, ხელმძღვანელობის გაწევა და ცოტად თუ ბევრად საქარხნო ხასიათის მინიჭება. ამჟამად არსებობს პატარა საბრეშუმო ქარხანა სამტრედიაში, შენდება შალეულობის ქარხანა ქუთაისში, არის კიდევ პატარა სართავი და საქსოვი სახელოსნოები ტფილისში, ხონში, ოზურგეთში და სხვ. მაგრამ ამ დარგში ჩვენ მეტი უნდა მოგვეთხოვოს, მეტის გაკეთება უნდა დავისახოთ მიზნად.

ამ საქმით უნდა დაინტერესდეს: განათლების კომისარიატი, რომელიც უნდა შეეცადოს ხალხში სათანადო ცოდნის გავრცელებას და საჭიროთ მუშების და ხელმძღვანელ-ინსტრუქტორების მომზადებას; მიწათმოქმედების კომისარიატი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მეცხვარეობის, მებამბეობის, მეაბრეშუმეობის, მესელეობის და სხვ. სათანადო დონეზე დაყენებას; უმაღლესი სამეურნეო საბჭო, რომელიც საზოგადოთ სხვადასხვა სამრეწველო დარგების შექმნა-განვითარებას უნდა ხელმძღვანელობდეს და სხვა.

ყველა ეს საკითხები დაწვრილებით, ნათლად და საინტერესოდ გააშუქა ინჟ. გ. ახვლედიანმა, რომელმაც გასულ კვირას მოხსენება წაიკითხა საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში—„საფეიქრო მრეწველობის განვითარების შესაძლებლობა და საჭიროება ჩვენში“. ეს მოხსენება კიდევ მით უფრო საინტერესო იყო, რომ ინჟ. გ. ახვლედიანმა ამ დარგში თავის წვლილიც შეიტანა. ქსოვილების დამზადების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თეთრებას და სწორედ ინჟ. გ. ახვლედიანმა გერმანიაში მუშაობისას შეიმუშავა თეთრების ახალი საშუალება კალიუმის პერმანგანტით, რასაც გერმანიის სპეციალურ ლიტერატურაში და სამრეწველო წრეებში დიდი ყურადღება მიაქციეს კალიუმის პერმანგანტის მისაღებად საჭიროა შავიქვის ქანგეული, პიროლუზიტი, რომელიც საქართველოში დიდის ოდენობით მოიპოვება. ამ მეთოდით თეთრების შემოღება შავიქვის მიზანშეწონილ გადამუშავების საქმესაც მეტად წინ წასწევს და საერთოდ საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობის განმტკიცების საქმეს ხელს შეუწყობს. ამნაირად წამოჭრილია რამოდენიმე მეტად საყურადღებო და საინტერესო საკითხი, რომელთაც სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ, სამრეწველო და ტეხნიკურ წრეებმა.

ინჟ. გ. კ—ძე.

მეტრიული სისტემის გატარების შესახებ

ამ ჟამად არსებულ სისტემის ნაცვლად მეტრიული სისტემის შემოღება მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენს. ევროპიულ ქვეყნების და ეხლა რუსეთის მაგალითმა ცხადად დაგვანახა რომ ამ რეფორმას წინ ელობება ბევრი დაბრკოლებანი. მეტრიული სისტემის სწრაფი გატარება ცხოვრებაში ჩვენ სინამდვილეში შეუძლებელია, ვინაიდან იგი შეეხება ხალხის ცხოვრების სამეურნეო და კულტურულ თითქმის ყოველ მხარეს, მის ჩვეულებებს, რომლებსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები მის ფსიქიკაში. თუ ხალხის მასას წინდაწინვე არა აქვს შეგნებული ამ სისტემის ძირითადი შინაარსი, მისი დაჩქარებით შემოღება გამოიწვევს ბევრ გაუგებრობას. ამიტომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა პოპულიარული აგიტაცია და პროპაგანდა ხალხში—ადგილობრივი კოოპერატივების, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების საშუალებით; საჭიროა აგრეთვე ადგილობრივ მეტრიული უჯრედების ორგანიზაცია. უმთავრესი როლი ამ საქმეში ეკუთვნის სკოლას, რომელმაც პრაქტიკულად უნდა გააცნოს ახალ თაობას ეს სისტემა, გააცნოს ისე, რომ მან ორგანიულად შეითვისოს ახალი რეფორმა და შემდეგ გაავრცელოს ოჯახში და საზოგადოებაში.

გარდა ზემოთ დასახელებულ დაბრკოლებებისა, ეს საქმე თხოულობს მეტად დიდ ტეხნიკური ხასიათის მუშაობას—საზომ-საწონთა მრავალ კომპლექტების დამზადებას და სხვ.

საზომ-საწონთა დამზადება უკვე სწარმოებს თანახმად ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო საბჭოებთან. იმ ხარჯების დასაფარავად, რომლებსაც გამოიწვევს რეფორმის განხორციელება, დაწესებულია საზომ-საწონთა დამზადების მონოპოლია ადგილობრივი ტეხნიკურ მუშაობისათვის დაარსებულია სომხეთში და აზერბაიჯანში საზომ-საწონთა პალატები (საქართველოში პალატა წინადაც არსებობდა) ამ საქმის სათავეში სდგას საგანგებო მთავარი კომისია, რომელსაც ჰყავს თავისი რწმუნებული ყველა რესპუბლიკებში. ამგვარად დამთავრებულია რეფორმის საორგანიზაციო ხანა და გადადგმულია პირველი ნაბიჯები მეტრიულ სისტემის გატარებისათვის. თუ რა სისწრაფით განხორციელდება შემდეგში ეს საჭირო რეფორმა, ეს პირდაპირ დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ იქნება შესრულებული აღნიშნული მძიმე ტეხნიკური და სააგიტაციო ამოცანები.

კოოპერაცია

ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო დარგში

(დასასრული. იხ. გაზ. „კომუნისტი“ № 3)

„ფუტკარი და სკა“ ზემო იმერეთის მეფუტკრეთა ამხანაგობაა. დაარსებულია საორგანიზაციო განყოფილების მიერ მიმდინარე წელს გაზაფხულზე. გამგეობა იმყოფება ქ. ზესტაფონში. ჯერ-ჯერობით 135 წევრი ჰყავს. ზემო-იმერეთის გლეხის მეურნეობაში მეფუტკრეობას საგრძნობი ადგილი უჭირავს. აქ არიან ისეთი მეფუტკრეები, რომლებსაც ასამდე და მეტიც სკა აქვთ, მაგრამ ძალიან პრიმიტიული ხასიათი აქვს აქ ამ მეურნეობას: ფუტკარი ადამისეულ სკებშია მოთავსებული. უკანასკნელ ხანებში თითო ოროლა მეურნეებმა დაიწყეს ჩარჩოიან სკებზე გადასვლა. აღნიშნულ ამხანაგობასაც მიზნათ აქვს დასახული ხელი შეუწყოს მეფუტკრეთა მეურნეობის რაციონალურ ნიადაგზე დაყენების და ნაწარმოების საუკეთესო პირობებში გასაღებას. ამხანაგობას გადაწყვეტილი აქვს მოაწყოს ჩარჩოიანი სკების საკეთებელი სახელოსნო. ამ მიზნისათვის ხე-ტყის მასალა უკვე შეიძინა და პრაქტიკულადაც შეუდგა სკების კეთებას. ამხანაგობას ყავს ინსტრუქტორი მეფუტკრე.

„ცხოვრების სანერგე“ მცირე და უმიწაწყლო გლეხთა სამიწათმოქმედო არტელია. არსებობს თელავის მაზრის ახმეტის რაიონში. ახალი დაარსებულია. მიწის რეფორმის გატარების შემდეგ დარჩა მთელი რიგი ნაკვეთებისა, რომლების განაწილება მცხოვრებთა შორის მეურნეობის თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი. ამავე დროს არც სახელმწიფოსათვის წარმოადგენს ისეთ ღირებულებას, რომ შესაძლებელი იყოს ცალკე აპარატის გამოყოფა ამ ნაკვეთების შესანახად და მოსავლელად. აი სწორედ არტელიც ისახავს მიზნათ ამ ნაკვეთების კოლექტიური შეერთებული ძალით დამუშავებას.

„პრაგა მაშინა“ საწარმოვო არტელია, 30 წევრი ყავს. ცეკავშირის საზეინკლო სახელოსნო ლიკვიდაციის შემდეგ გადაეცა განსაზღვრულ პირობებში აი სწორედ ამ არტელს. წევრები განსაკუთრებით ჩეხოსლოვაკელებია—ჩინებული მოხელეები. განზრახული აქვთ ტფილისში მოაწყონ ისეთი სახელოსნო, სადაც შესაძლებელი გახდება ავტომობილების კეთება.

სასოფლო-სამეურნეო დარგში საორგანიზაციო განყოფილებას შეეძლო მეტის გაკეთება. მაგრამ მთელი მისი ენერგია მოუნდა მიმდინარე წელს კოოპერატივების რეორგანიზაციის საქმეს. ეს უკანასკნელი ამ ჟამად უკვე მოსრულებულია და იმედი გვაქვს ამის შემდეგ მუშაობა საორგანიზაციო განყოფილებისა სასოფლო-სამეურნეო დარგში უფრო ნაყოფიერი და ინტენსიური იქნება.

გ.

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა

ტფილისში რუსთაველის პროსპექტზე კომუნისტური აღზრდის სახლში (ყოფილი სამხედრო სობორო) გაიხსნა ამიერკავკასიის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკები. კარგათ არის წარმოდგენილი აზერბეიჯანი თავისი ჟურნალ-გაზეთების (თურქული გაზ. „კომუნისტი“, გაზ. „ბაქოს მუშა“ რუსულ ენაზე და სხვა) ექსპონატებით და დიაგრამებით მათი გავრცელების, თანამშრომელთა რაოდენობის და შემადგენლობის შესახებ. არის მრავალი სურათები მუშურ-გლეხური პრესის ყოფილ და ეხლანდელ ხელმძღვანელთა, აგრეთვე აზერბეიჯანის მშრომელთა ყოფაცხოვრებიდან, წიგნები თურქულ და რუსულ ენებზე და სხვ.

ეტყობა, რომ საბჭოთა მთავრობა წიგნების და ჟურნალ-გაზეთების ფართო გამომცემლობას და დიდ კულტურულ მუშაობას აწარმოებს აზერბეიჯანში. ვფიქრობთ, რომ ასეთი მასშტაბით ეს საქმე არასოდეს არ ყოფილა დაყენებული აზერბეიჯანში.

გამოფენის შუადგილზე წარმოდგენილია ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის გამომცემლობა და ტფილისის პრესა სხვადასხვა ენაზე, („ზარია ვოსტოკა“, „რაბოჩაია პრავდა“, ენი ფიქრი, მარტაკოჩი „მუშა“, „კომუნისტი“ და სხვა). ცალკე განყოფილება უკავია სომხეთის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთ და იქვე ცალკე დიდ ოთახში მოთავსებულია ს. ს. ს. რ. სარევოლიუციო მუზეუმი, რომელიც გვიხატავს წიგნებით და სურათებით განვლილ რევოლიუციონურ მოძრაობას როგორც საქართველოში, ისე რუსეთში.

თუმცა შედარებით მოკლე ვადაში სწარმოებდა გამოფენისთვის მოსამზადებელი მუშაობა და ყველა დაწესებულებებმა ვერ მოასწრეს მასზე ყველა საჭირო მასალების წარმოდგენა, მაგრამ გამოფენა საერთოდ კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს და თითქმის სრულ სურათს იძლევა იმ მუშაობისას, რომელსაც ეწევა საბჭოთა ხელისუფლება და კომპარტია მშრომელთა გათვითცნობიერებისთვის ამიერკავკასიაში.

სტუმარი.

ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პირველი სხდომა

შაბათს, 5 იანვარს შესდგა ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმის პირველი სხდომა ამხ. ლადო სუხიშვილის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგს შეადგენდა: 1) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის არჩევა და 2) განყოფილებათა გამგეთა არჩევა.

მცირე განმარტებითი მოხსენების შემდეგ ამხ. რუბენს კომფრაქციის სახელით შემოაქვს წინადადება აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: სუხიშვილი, ვარძიელი, ჯუღელი, იორამაშვილი, მესხი, რუბენი, გეგეჭკორი, ივანოვ კავკაზსკი, ღლონტი, ქაცარავა, მინასიანი, გაგნიძე, სუტირინი. კანდიდატებად: ამხ. ამხ. იტრიევი, ჯაფარიძე და ჟუკოვი.

კომფრაქციის წინადადებით არჩეულნი არიან.

1) კომუნალური განყოფილების გამგეთ ამხ. ივანოვ—კავკაზსკი, მოადგილეთ ამხ. ასრიევი.

2) განათლების განყოფილების გამგეთ ამხ. ქაცარავა, მოადგილეთ და ამავე დროს პოლიტგანათლების ქვეგანყოფილების გამგეთ ამხ. ბუხნიკაშვილი.

3) საადგილ-მამულო განყოფილების გამგეთ ამხ. ჯაფარიძე.

4) ჯანმრთელობის განყოფილების გამგეთ ამხ. მამულია.

5) სტატისტიკური განყოფილების გამგეთ ამხ. რუხაძე.

6) მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამგეთ ამხ. მინასიანი.

7) საერთო განყოფილების გამგეთ ამხ. მესხი.

გამგეთა არჩევნების დასასრულს ამხ. ალ. გეგეჭკორს წინადადება შეაქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციის განყოფილებაში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცირკულიარის თანახმად დაუყოვნებლივ გატარებულ იქნეს სრული ნაციონალიზაცია

ამხ. რუბენს შემოაქვს წინადადება არჩეულ იქნეს კომისია, რომელიც ტფილისის აღმასკომის აპარატს—ყველა განყოფილებას გადაათვალიერებს და გადასინჯავს. ამხ. რუბენის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული; არჩეულია კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ამხ. სუხიშვილი, ჯუღელი, ვარძიელი, რუბენი, და რუხაძე.

სხდომა საღამოს 7 საათზე შეწყდა.

მეცნიერება და ტეხნიკა

საკერავი მანქანები მოტორით.

ამ ჟამად ამზადებენ საკერავ მანქანებს, რომლებსაც თან ახლავს პატარა ელექტრონის მოტორები. ამ მოტორების წყალობით სრულიად არ არის საჭირო მომქანცველი შრომა ხელით ან ფეხით. ასეთი ელექტრომოტორი იმდენათ პატარა არის, რომ თავისუფლად დაეტევა ცალი ხელის გულზე. მოტორი სრულიად უხმოდ მუშაობს, როგორც მოტორით სარგებლობა, ისე მისი შეერთება საკერავ მანქანასთან იმდენათ უბრალოა, რომ არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. მისი მოძრაობაში მოყვანა და სისწრაფის მოწესრიგება ხდება ისევე, როგორც ფეხით საკერავ მანქანაში—ოდნავ ფეხის დაჭირებით მანქანის საამისოთ მოწყობილ ნაწილზე. მანქანა ძლიერ ცოტა ელექტრონის ენერგიას ხარჯავს. ერთი ფირმა მაგალითად ამზადებს მანქანებს ისეთი პატარა ელექტრო მოტორებით, რომლებიც მოითხოვენ 35 ვატტს, ე. ი. იმდენს, რამდენიც საჭირო 32 სანთლის ძალის მქონე ლამპოჩკასათვის. ასეთ მანქანაზე შეიძლება სქელი, პალტოს მატერიის შეკერვა.

უდიდესი რკინისგზის სადგური.

თანამედროვე ტეხნიკა გატაცებულია გრანდიოზულობით. გრანდიოზული თეატრები, უზარმაზარი გემები, ჰაეროპლანები ხიდები,—ასეთია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვა. რკინისგზის ტეხნიკის სფეროში ასეთ გრანდიოზულ რამეს წარმოადგენს ახ ლი სადგური გამმში (ვესტფალია), გამმი წარმოადგენს ასე ვსთქვათ თითქმის ცენტრალურ პუნქტს ვესტფალიის სარკინისგზო მოძრაობაში. ვინაიდან ძველი სადგური არ აკმაყოფილებდა მოძრაობის მოთხოვნილებებს, საჭირო შეიქნა მისი გაფართოება. გააფართოვეს სადგური იმდენათ, რომ მის შენობებს სიგრძით 8 ვერსი უჭირავს, სადგურის ტერიტორიაზე დაგებულ რკინისგზის ხაზის სიგრძე 320 ვერსს უდრის, ამ მანძილით დაშორებულია ერთმანეთზე ბერლინი და ბრესლაუ. სადგურის მთელ ტერიტორიაზე 3500 კაცი მუშაობს. ისინი თვალყურს ადევნებენ სადგურის რთული მექანიზმის წესიერ მუშაობას.

ქრონიკა

— **ქიმიური ლაბორატორია.** ქალაქის ქიმიური ლაბორატორია გადავიდა ახალ ბინაზე გრაფის ქ. № 9, ლაბორატორია უკვე შეუდგა მუშაობას.

— **დამწვარი სახლის აღდგენა.** რუსთაველის პროსპექტზე მდებარე დამწვარის სახლის № 6 აღსადგენათ ქალაქის აღმასკომმა გამოყო კომისია ამხ. ამხ. მესხის, ასრიევის და დიასამიძის შემადგენლობით. კომისიას დაევალა აღნიშნული სახლის აღსადგენათ მიიღოს ზომები და გამონახოს საშუალებები.

— **წყლის ფასის შემცირება.** ქალაქის აღმასკომის დადგენილებით დაზღვეულ პროფკავშირის და მათ კმაყოფაზე მყოფ ოჯახის წევრებს გადასახადი წყალზე შეუმცირდათ ერთი მეოთხედი კაპ.

— **წყალსაზომების შეძენა.** ქალ. აღმასკომის დადგენილებით, იმ სახლებში სადაც მუშა-მოსამსახურეებს აქვთ დაკავებული ბინები არა უმეტეს ერთი-მესამედისა, წყალსაზომები უნდა შეიძინოს სახლის პატრონმა, იმ სახლებში კი, სადაც მუშა მოსამსახურეებს დაკავებული აქვთ ერთი-მესამედზე მეტი, წყალსაზომების შეძენა ეკისრებათ მდგმურებს.

— **„ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“.** იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ს. ჩოლოყაშვილის მიერ შედგენილი წიგნი: „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“. წიგნს სცემს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი.

— **ამერიკული ვაზის ნამყენების სივრცე.** სახელმწიფო მამულების სამმართველოს ცნობით ამ ჟამად მთელ რესპუბლიკაში როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, ამერიკული ვაზის ნამყენებს უჭირავს 60 დესეტინა მიწა.

— **სტატისტიკური ცნობები.** სასოფლო-სამეურნეო სექციამ გადასწყვიტა დაამუშაოს და შეაგროვოს 1924 წლისათვის მევენახეთა-მეღვინეობის დარგის მასალები.

— **წიგნები სასოფლო-სამეურნეო დარგზე.** მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს მოაწყოს ფართე გამომცემლობა სასოფლო-სამეურნეო დარგის გასაშუქებლად გამომცემლობის მიზანია აღნიშნულ გამომცემლობით დაეხმაროს გლეხობას და მეურნეთ სასოფლო-მეურნეობის კულტურის შესასწავლათ.

— **რძით და რძის ნაწარმოებთა მოვაჭრეების შესახებ.** ქალაქში რძით და რძის ნაწარმოებით მოვაჭრენი იანვრის დამლევამდე ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ქალ. ქიმიური ლაბორატორიის კანცელარიაში სარეგისტრაციოთ ვაჭრობის ახალი ნებართვის მისაღებად. ვინც აღნიშნულ დრომდე არ გამოცხადდება დაჯარიმებული იქნება.

— **სახლში მწოლიარე ავადმყოფები.** სახლში მწოლიარე ავადმყოფებს, რომელნიც დაზღვეულნი არიან დამზღვევი კასა შვებულებას მისცემს რაიონულ ექიმების მიერ წარმოდგენილ საბუთების შემდეგ.

— **მოწმობები უფასოდ წყლით სარგებლობისათვის.** შრომის ბირჟას დადგენილებით უმუშევრებმა უფასოდ წყლით სარგებლობისათვის მოწმობები უნდა მიიღონ 15 იანვრამდე, რის შემდეგ მოწმობები აღარ გაიცემა.

— **შრომის ბირჟა.** 5 იანვარს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 6 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 49. მოთხოვნილება იყო—48. სამუშაოზე გაიგზავნა 60 უმუშევარი.

— **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების** მორიგ სხდომაზე სამშაბათს 8 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ცენტრარქივის შენობაში (ოლღას ქ. № 48), ბენედიქტე ჩიქობავას მიერ წაკითხული იქნება მოხსენება: „—ყე ნაწილაკი ფერეიდნულში“. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

შემთხვევები

— მკვლელობა. 4 იანვარს, ღამის 11 საათზე მანგლისის რაიონში, კოჯრის მახლობლათ მომავალ ფურგონს დაეცნენ 8 შეიარაღებული ბოროტმოქმედნი, რომლებმაც მოკლეს ფურგონით მომავალი სოფ. სამადლოს სადარაჯოს უფროსი მიხა ბერაკლიშვილი და სასიკვდილოთ დასჭრეს მეფურგონე. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ.

— ქურდობა. 4 იანვარს. მახარაძის ქ № 8 მცხოვრ. ნაბნი ჯობრეს მოპარეს 200 მამ. ჩერ. თეთრეული. ეჭვით შეიპყრეს მეეზოვე კირაკოსიანცი.

— გაუგებრობის მსხვერპლი. 4 იანვარს, ღამის 2 საათზე ნავთლუღში მდებარე საბავშო სახლის საგუშაგოზე მდგომმა ალექსანდრე პანკრატოვმა მოკლა თოფით იმავე საგუშაგოს უფროსი ეგორ ქუსტინოვი, რომელსაც საგუშაგოს დათვალიერების დროს პასუხი არ გაუცია პანკრატოვის შეკითხვაზე. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— უეცარი სიკვდილი. 4 იანვარს, დღის 2 საათზე პლეხანოვის პროსპექტზე კინო პალასის ახლო უეცრათ გარდაიცვალა მოქ. გიორგი გრიგუროვი. გვამი გადაგზავნილია რესპ. მთავარ საავადმყოფოში.

— ქურდობა. 3 იანვარს. გაქურდულ იქნა მოქ. ეკატერინე ხოფერიას ბინა, გრიბოედოვის ქ. № 26, წაღებულია სხვადასხვა ნივთები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

— შეპყრობა. 3 იანვარს. შეიპყრეს მოქ. მოქ. გრიგოლ სულხანიშვილი და ნიკოლოზ ოქროაშვილი, რომლებსაც აღმოაჩნდათ ყალბი მარკები და ყალბი ბეჭდები (შტემპელი), კვლევა-ძიება სწარმოებს.

ხელოვნება

— **კომპოზიტორ სულხანიშვილის ხსოვნის კონცერტი.** ახლო ხანში, ოპერის თეატრში გაიმართება სახალხო კომპოზიტორის სულხანიშვილის ნაწერების კონცერტი მისი გარდაცვალებიდან 4 წლის შესრულების აღსანიშნავად.

— **საბავშვო ლიტერატურის გამოფენა.** განათ. კომისარიატის სოც.-აღზრდის მთავარ მმართველობასთან არსებული სალიტერატურო-სამხატვრო სექცია ახლო ხანში ტფილისში აწყობს საბავშვო ლიტერატურის გამოფენას. გამოფენაზე სხვათა შორის გამოფენილი იქნება საბავშვო მწერლობის ავტორების პორტრეტები.

— **ანნა ორლოვას კონცერტი.** ხუთშაბათს 10 იანვარს სახ. კონსერვატორიაში გაიმართება მომღერალ ქალის ანნა ორლოვას კონცერტი.

დღეს თეატრებში.

— **რუსთაველის თეატრი.** „ადამიანი-მასსა“.

— **სახელმწიფო ოპერა.** „დაისი“.

— **სახ. კონსერვატორია.** კ. გამსახურდიას მოხსენება „ლიტერატურული პარიზი“.

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია უკვე დასრულდა.

შტატები ინსპექციის რეორგანიზაციის გამო შემოკლებულია ა | კ ცაკთან არსებულ ცენტრალურ საშტატო კომისიის მიერ 57 კაცამდე. აქედან მ | გ ინსპექციის კოლეგიის დადგენილებით 5 კაცი დარჩა აფხაზეთში და 4 კაცი აჭარისტანში, ერთი ოსეთში, დანარჩენი 47 კაცი დატოვებულია ცენტრში.

ინსპექციის განყოფილებები ქალ. ქუთაისში და ფოთში სრულიად გაუქმებულია.

ამ ჟამად სწარმოებს ცეკას განსაკუთრებულ კომისიის მიერ კომისარიატის პირადი შემადგენლობის გადარჩევა.

კომისარიატის სტრუქტურა დამტკიცებულია შემდეგი სახით:

ოპერაციული მართველობა სექციებით: 1) ა) საფინანსო-სამრეწველო, ბ) სასოფლო-სამეურნეო, გ) ადმინისტრატიული, დ) კულტ განმანათლებელი, 2) სახელმწიფო აპარატის გამაუმჯობესებელი განყოფილება ინსპექციებით: ა) შრომის, წარმოების და მმართველობის ტეხნიკას და ბ) ბუხგალტერიის და ანგარიშების; 3) საერთო განყოფილება: ა) საერთო კანცელარია, ბ) საფინანსო-სამეურნეო ნაწილი, გ) საიურისკონსულტო ნაწილი და გ) საჩივართა ბიურო აგრეთვე საერთო განყოფილებასთან.

საქ. მ. | გ. საორიენტაციო სამუშაო გეგმა დამტკიცებულია ა. კ. მ. | გ. ინსპექციის კოლეგიის მიერ, რესპუბლიკის ინსპექციების კოლეგიების თანდასწრებით.

გეგმის მიხედვით დაწყებულია სოციალურ დაზღვევის საქმის, საგამომცემლო საქმის და სასკოლო-სამოსწავლო საქმის გამოკვლევები. გამოკვლევებში იღებენ მონაწილეობას სათანადო პროფკავშირთა, პარტიულ ორგანიზაციების და დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები.

საჩივართა ბიურო უკვე მოეწყო და მუშაობს საერთო განყოფილებასთან 1 იანვრიდან. ბიუროს საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა კოლეგიის წევრს ამხ. კვარაცხელიას. საჩივრები და განცხადებები მიიღება ისეთი ხასიათის, რომელიც შეიცავს სახელმწიფო აპარატის უწესრიგობას, ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას, მშრომელთა უფლებების დარღვევას და მათ მოთხოვნილებათადმი უყურადღებოდ მოპყრობას, რომელიც აცილებს სახელმწიფო აპარატს მშრომელთაგან. საჩივრები და განცხადებები განთავისუფლებულია საღერბო და სხვა ყოველგვარ გადასახადისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ხმები

შრომის კომისარიატის საყურადღებოდ.

ყოველ მიმდინარე თვეების 15-ს და 22 რიცხვებში ცხადდება ინდექსის საქონლის მანეთისა, რომლის კურსითაც მუშა-მოსამსახურეები მუდამ თვის 1 ში და 15-ს იღებენ ჯამაგირებს და ასწორებენ ყოველგვარ ანგარიშებს და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ვალიუტა საშინელ რყევას განიცდის და ჩერვონცები დღითიდღე 10—15 მილიონს მატულობს და პროდუქტებიც ყოველდღე საზღაპროდ ძვირდება. ჯამაგირის მიღებამდე ინდექსის რვა დღით ადრე გამოცხადება შეუძლებელსა ხდის მუშის ხელფასის წონასწორ ანგარიშიანობას, რომლითაც მუშები თითქმის ნახევარი, ანუ ერთ მესამედს მაინც ჰკარგავენ თავიანთ ჯამაგირისას. ვინაიდგან მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიურ მოთხოვნილებებზე ეს ცუდ გავლენას ახდენს და უფრო მეტად უჭირვებს ცხოვრებას, ამისათვის ურიგო არ იქნებოდა, რომ ინდექსის გამოცხადება მხოლოდ ჯამაგირების ერთო დღით ადრე ცხადდებოდეს და არა იმ წესით, როგორიც ახლა არსებობს.

ვიმედოვნებთ, რომ აღძრული საკითხი სათანადო გამოძახილს ჰპოვებს, ვისგანაც ჯერ არს.

ხტამბის მუშა კ.

მელითონეებში.

ლითონის განყოფილება ამ ჟამად ამუშავებს 5 ქარხანა სახელოსნოს და იღებს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც არის: მოწყობა და დადგმა წისქვილებისა წყლის ბრუნაროების აშენება, ყოველი ძალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურების დადგმა, სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღების დამზადება, (გუთნები, სანიავებელი, საცეხველი და სხ.) სპილენძის ტკეცა, როგორც ფურცლად ისე რგვლად; ავტო-სახელოსნოებში ხდება ავტო-მანქანების და მისი მონაწილეობის როგორც კაპიტალური, ისე საშუალო და მიმდინარე შეკეთება. ამ ჟამად ლითონის განყოფილება აღდგენს უამრავ რიცხვს ავტოქონებისა, რაც იწვევს დიდს ხარჯებს და ენერგიას. განყოფილებაში მოიპოვება გასასყიდათ ინგლის-ბულგარეთის სისტემის გუთანი „ეკერტი“-სა და „გინა“-სი სხვა და სხ. ნომრები—600 ცალად. მოიპოვება აგრეთვე გუთნები „საკი“-ს სისტემის ღვინის საწურავები და ბევრი სხვა. აქ უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება: ბევრი სახელმწიფო დაწესებულება გვერდს უვლის ლითონის განყოფილებას და მიაქვს შეკვეთა და აძლევს კერძო სახელოსნოში, რომელიც ამ[illegible] [illegible]ბას—შეჯიბრებას ლითონის განყოფილებას. საჭიროა, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა, მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას მხოლოთ ლითონის განყოფილებაში. ჩვენ მელითონე მუშებში უმთავრესად ძველი მომუშავენი არიან, დახელოვნებულნი როგორც სამქრო ხელოსნები ლითონის წარმოებაში, არიან ზეინკლები, ხარატები, დურგლები, მჭედლები და სხ. ყველას სახეზე მუშაობის დროს სიცოცხლე და ენერგია გამოიხატება, ყოველივე მათგანი გამსჭვალულია იმ აზრით, რომ იგი დაზგასთან აკეთებს დიდს საქმეს საბჭოთა მეურნეობის აღდგენა—განვითარებაში. ჩვენ მუშებს დაურიგდათ ტანისამოსი და ფეხსაცმელები; თავის დროზე ვიღებთ ჯამაგირს, რაც მიეწერება კოლეგიის წევრის მუშა ნ. დოგუნოვის ენერგიას. გვაქვს ჩვენ ქარხანაში კლუბი სამკითხველო, იშვიათად თუ იმართება რამე, რაც მიეწერება კავშირის კულტ-განყოფილების უყურადღებობას, იმის და მიუხედავათ, რომ გადადებულია თანხა კლუბის სცენისათვის ფარდის და დეკორაციების შეძენისათვის. გვყავს ჩვენ ფიზიკურ ვარჯიშობის მასწავლებელი, სადაც უმთავრესად მეცადინეობენ ახალგაზრდა კომკავშირის წევრნი და მუშების შვილები. გაზეთები ცოტა მოგვდის მისი სიძვირის გამო, მუშის ჯიბე განსაზღვრავს ანარიცხების რაოდენობას.

მუშკორი მელითონე.

მტვირთელ მუშებში

მე მსურს გამოვთქვა რამოდენიმე მუშების აზრი, ცენტროტრამოტის მუშების და აგრეთვე გამგეობის საყურადღებოდ; გადის უკვე სამი წელი, რაც ვმსახურებ რკინის გზაზე გადამტვირთველ მუშად და ცოტად თუ ბევრად მე უკვირდები ყოველივე დარგს და აგრეთვე ჩვენს საქმესაც, წელიწადი გადის და ახალი შეჯიბრებით იძახდენ და მე არ ვაქცევდი ამას ყურადღებას იმიტომ, რომ ვფიქრობდი ცენტროტრამოტა სახელმწიფო დაწესებულებაა. და ვინ რას აწყენს მეთქი შეიძლება რამოდენიმე პიროვნებებს კიდეც სძულდა, იგი, მაგრამ ნურას უკაცრავად. სძულდათ იგი მათ, ვინც გვყავს ისევ ჩვენ შემპარული ელემენტები, რომელიც პირში „ემაქლიქებოდა“ ცენტროტრამოტას, და ფარულად კი ძირს უთხრიდა მას. მაგრამ მუშურ-გლეხურ მთავრობაში არ გასჭრა იმათმა იმედებმა და მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ეხლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ მთელი ცენტროტრამოტის მუშების დიდი უმრავლესობა კმაყოფილია მითი, რომ ეს კრიზისი იოლად იქნა გადატანილი; და ის მაჩანჩალა პოდრაჩიკები ყურჩამოყრილები დარჩნენ, ვინაიდან ტვირთა გადმოტვირთვის საქმე ისევ ცენტროტრამოტამ აიღო. ჩვენ წვალება ბევრი გამოგვიცდია წარსულ წლებში და ეხლა კი ვუსურვებთ, ცენტროტრამოტის გამგეობას, როგორც სახელმწიფო დაწესებულებას, ხანგრძლივ და ენერგიულ მუშაობას და მომავალშიც გაეუმჯობესებინოს თავისი დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრება.

სად. ხაშურის მტვირთავთა ადგილკომის თავმჯდ. **კაპიტონ ბოლქვაძე.**

პასუხად ლეონტი რაზმაძეს

(იხ. „კომუნისტი“ № 285)

1923 წ. 11 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტ“-ში № 285 მოთავსებული იყო მოქ. ლეონტი რაზმაძის წერილი სათაურით „შრომის ბირჟაში ამგვარ უმსგავსოებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“. თანახმად არსებულ წესისა შრომის სახალხო კომისარიატის და შრომის ბირჟის კომიტეტისა ამა თუ იმ სამუშაოზე იგზავნებიან პირველ რიგში მხოლოდ დაზღვეულნი და კავშირის წევრები.

2 ივლისში ა/წ. იყო მოთხოვნილი „ახალი წრედან“ ერთი 1-ლი ხარისხის მზარეული, სადაც იქნა გაგზავნილი კავშირის წევრი ვინმე ლომინაძე, რომელიც არ იქნა მიღებული სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო.

თუ კი რამდენიმე ხნის განმავლობაში არ გამოცხადდებიან კავშირის ნამდვილი წევრნი ან და არ მოგვეპოვება შესაფერისი კანდიდატი მოთხოვნილების თანახმად, მაშინ იგზავნებიან სამუშაოზე არა კავშირის წევრებიც, თუ კი ისინი შრომის ბირჟის აღრიცხვაზე აყვანილი არიან. სწორედ ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი და მან მაიძულა სამუშაოზე გამეგზავნა არა კავშირის წევრი და პირველათ მოქ. ლ. რაზმაძეს მე შევეკითხე, თუ სად უმუშავნია მას, ან რა ადგილზე, რადგანაც ჩემ მოვალეობას შეადგენს, რომ დაწესებულებას მივცე ისეთი მუშა, რომელიც არის იქ საჭირო და შესაფერისი. მე რაზმაძესგან გავიგე, რომ მას უმუშავნია ოჯახებში და რუსეთში სხვა და სხვა რესტორნებში. ეს მხოლოდ მისი სიტყვიერი განცხადება იყო და ამის დასამტკიცებელი საბუთები კი მას არ ჰქონდა, ვერც ადგილობრივი მზარეულები იცნობენ ლ. რაზმაძეს, როგორც მზარეულს; ამის გამო მოქ. რაზმაძეს მე მოვთხოვე „მენიუ“-ს შედგენა, სრულიად შეუგნებლად მან მიიღო შეურაცხყოფად და მიპასუხა: „მომეცი ჩემი წიგნაკი და სხვა გამგზავნე“-ო. რაზმაძე ამ სიტყვებით გამშორდა და თავისუფალ ადგილზე გავაგზავნე სხვა, საბანიძე, ვინაიდან მოქ. რაზმაძე და საბანიძე არიან აყვანილნი აღრიცხვაზე ერთ დღეს 28 ივნისს ა/წ. (რაზმაძის წიგნაკის № 2352 და საბანიძის № 2353), რაც შეეხება იმას, რომ ვითომდა მეორე საავადმყოფოში ჩემ მაგიერ იქნა გაგზავნილი სრულიად უცოდინარი მზარეული, ეს განცხადება არ შეეფერება სინამდვილეს.—ჯერ ერთი, რომ მეორე საავადმყოფოდან მოთხოვნილებაც არ ყოფილა, მხოლოდ მთავარ საავადმყოფოდან-კი იყო ერთი მოთხოვნილება მზარეულ არჩუაძეზე, სადაც მე გავაგზავნე სხვა მხოლოდ რიგში მდგომი, შესაფერისი მზარეული და კავშირის წევრიც, როგორც ამას ბირჟის წესი და რიგი მოითხოვდა.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მოქ. რაზმაძეც კი იქნა გაგზავნილი ერთ ოჯახში, მოქალაქე მოდებაძესთან 25 სექტემბერს № 6792-ით. მხოლოდ მან არ ისურვა იქ მუშაობა და დაბრუნდა რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ ბირჟაში. ამის შემდეგაც იქნა გაგზავნილი რაზმაძე ჩემ მოადგილის მიერ 16 ოქტომბერს № 7311-ით რესტორან „ძია ქორა“-ში, სადაც ის არ იქნა მიღებული, რაზედაც სასადილოს მოიჯარადრე იქნა დაჯარიმებული სასამართლოს მიერ 20 ჩერვონცის მანეთით. იქაც გაიგზავნა რაზმაძე იმიტომ, რომ იმ სამუშაოზე სხვა მზარეულებმა უარი სთქვეს, ვინაიდან რესტორან „ძია ქორას“ პატრონ ბაშჯანოვთან არავის სურს მუშაობა, ყველა ამის შემდეგ რაზმაძის ჩივილი იმაზე, რომ ვითომდა მისთვის შრომის ბირჟას სრულიად ყურადღება არ მიექციოს, აშენებულია რაღაც გაუგებრობაზე და თვით ამხ. რაზმაძის შეუგნებლობაზე. რაზმაძეს ჰგონია, რადგანაც ის პირველ რიგში არ გაიგზავნა. შრომის ბირჟაში დიდ უმსგავსოებას ჰქონია ადგილი, მაგრამ ეს ასე არ არის, ვინც მუშაობს, შეიძლება შეცდომაშიც შევიდეს, მაგრამ აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის ამხ. რაზმაძის წინაშე ჩვენთან ჯერჯერობით მაგისთანა უმსგავსოებას ადგილი არ ჰქონია და არც ექნება.

მეორე ხელქმის გამგე ბიქტორ ბაქურია.

„კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების კრება.

მიმდინარე წლის 6 იანვარს „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგა ჩვენი გაზეთის მუშკორების მორიგი კრება, რომელზედაც სხვათა შორის გააკეთა მოხსენება ამხ. სანდრო ეულმა „პროლეტკულტის“ მუშაობის შესახებ და მოუწოდა ამხ. მუშა-კორესპონდენტებს ჩაეწერონ „პროლეტკულტის“ სტუდიებში. მასთან ამხ. ეული აცნობს კრებას, რომ „პროლეტკულტ“-ში არსებობს სხვადასხვაგვარი სტუდიები, როგორიც არიან—მაგ.: დრამატიული, ლიტერატურული, მსახიობთა და სხვა, სადაც არიან მოწვეული ჩინებული ლექტორები.

ჩვენმა მუშა-კორესპონდენტებმა დიდის ყურადღებით მოისმინეს ამხ. ეულის მოხსენება, მიესალმენ მას და თანაც სურვილიც გამოსთქვეს ჩაეწერონ „პროლეტკულტი“-ს სტუდიებში.

შემდეგ კრებამ იმსჯელა მიმდინარე საკითხებზე და დასასრულ გამოსთქვა სურვილი ბეჭდვითი სიტყვის გამოფენის ნახვაზე რედაქციის წარმომადგენლებმა ამხ. ვ ბუაჩიძემ და მალაშხიამ მიიღეს თავის თავზე გამოფენაზე ექსკურსანტ მუშების ხელმძღვანელობა და ჩვენი მუშკორები გაემგზავრნენ გამოფენაზე.

გამოფენა ჩვენ მუშა თანამშრომლებს ძალიან მოეწონათ და თითქმის ორი საათის განმავლობაში ათვალიერებდნენ მას. მათი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცეს ძველი რევოლიუციონერ მუშების სურათებმა.

დღის სამ საათზე ჩვენი მუშკორები დიდათ ნასიამოვნები დაიშალნენ.

დამსწრე.

მუშათა ქრონიკა

საიუბილეო კომიტეტს

ამხ იოსებ იმედაშვილის სახელზე მოუვიდა აღმასკომის ადგილკომისაგან შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან ტექნიკური დაბრკოლების გამო შეწირულებანი აღმასკომის თანამშრომლების მიერ 2.065.000.000 მან. და ადგილკომის მხრივ გაცემული ერთი ჩერვონეცი, თავის დროზე ვერ იქნა გადაცემული ამხ. გ. ხეჩუაშვილზე, ამიტომ ახლა გაახლებთ დანიშნულებისამებრ გადასაცემად“.

ამასთან ერთად მიღებულია ლექსი, ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა გიგო ხეჩუაშვილს, ხოლო რუსული ლექსი „Рабочая Правда“-ს.

საიუბილეო კომიტეტი.

პროვინციაში

ონის რაიონი (რაჭა)

რაიონს ჩამოყალიბების შემდეგ დაეტყო მეტი გაცხოველება. გლეხობა აქტიურად ჩაება აღმშენებლობაში. მაგ ჟაშქვის სასოფლო ერთეულმა თავის ყრილობაზე გამოიტანა დადგენილება — ვინაიდან მთავრობა დღევანდელ პირობებში მეტად დატვირთულია სხვადასხვა ხარჯებით, თვით ჩვენ, სოფელმა, მივიღოთ ჩვენს თავზე მასწავლებლის შენახვა, გამოვნახოთ შესაფერი ბინა სკოლისათვის, გაუკეთოთ რემონტი და აღმოუჩინოთ ბავშვებს დახმარება, რომ არ დარჩენ სწავლის გარეშე.

აგრეთვე არის გადადგმული ნაბიჯი წერა კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ რაიონში მცხოვრებთა 70 პროცენტი ეკუთვნის წერა-კითხვის არა მცოდნეთ. რაიონმა განიზრახა მოწყობა წერა კითხვის უცოდინართა სკოლებისა წედისში, ქვედში, ჩორდში, ჟაშქვაში, რუსპირში, შემერში, ქირთისში, ქვაცხუთში, ზვარეთში, და შეუდგა ამ საქმის მოგვარებას.

ჩამოყალიბდა აგრეთვე გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები. ასეთი კომიტეტები არიან არჩეული ყოველ სოფელში და, ისინი აქტიურად შეუდგენ თავიანთ მოვალეობის ასრულებას. დააწესეს გადასახადი ერთ ნათოხლიდან (ნათოხალი 25 გირ.) 3 ნათოხამდე, აგრეთვე შეადგინეს სია რაიონში და სოფელში მყოფ ღარიბეს გლეხების, რომელთაც უწევენ დახმარებას.

რაიონმა გამოიწერა გაზეთი „მიწის მუშა“ და დაურიგა გლეხობას სოფლად, უბან-უბან. გაზეთს უკითხავენ გლეხობას ამისათვის განსაკუთრებულად დანიშნული პირები. ჯერჯერობით არის გამოწერილი 20 ცალი გაზეთი.

გლეხობა დიდის ნდობით და აღტაცებით ეგებება მთავრობის დადგენილებებს და დეკრეტებს და ცდილობს მათი რაც შეიძლება მალე და მტკიცედ შესრულებას ასე, მაგ., სამეურნეო გადასახადი გლეხობაზე, რომლის ბლანკები დაურიგდათ მათ 22 დეკემბრიდან, ორი-სამი დღის განმავლობაში შეიტანა რაიონის გადამხდელების 60 პროცენტმა. ხაზინა, რომელიც აწარმოებს ამ გადასახადის აკრებას, ვერ ასდის მუშაობას, მთელი დღე ღიაა და აკმაყოფილებს გლეხებს.

რაიონში არ აქვს ადგილი ქურდობას, ყაჩაღობას, რაც წინეთ, მეფის და მენშევიკების დროს ფართოდ იყო გავრცელებული.

რაჭველი

ტყიბულის მაღაროებში

ტყიბულის მაღაროებში არის საუცხოვოდ — ახლახან შეკეთებული კლუბი, არსებობს დრამატიულ წრეც და სხვ. ამჟამად წრის მიერ სისტემატიურად იმართება წარმოდგენები და სხვა.

ამ წრის ინიციატივით მოწყობილ იქნა „2 იანვრის დღესასწაული“ ე. ი. ქართული თეატრის დაარსების 74 წლის თავი.

სანამ წარმოდგენა დაიწყებოდა, გაიხსნა საზეიმო მიტინგი. მოხსენებას დღესასწაულის მნიშვნელობაზე აკეთებს ამხ. ი. აბესაძე, რომელიც ფართოდ და გარკვევით უხსნის დამსწრე საზოგადოებას ქართულ თეატრის წარსულ ისტორიას და მის აწმყოს. შემდეგ დღესასწაულისადმი მისასალმებელ სიტყვებს ამბობენ მთელი რიგი ამხანაგები, რომელიც ულოცავენ დამსწრე საზოგადოებას დღესასწაულს და აღნიშნავენ, რომ ხელოვნება ბოლოსდაბოლოს უნდა გადაიქცეს ბასრ იარაღათ პროლეტარიატისათვის—ბურჟუაზიის საწინააღმდეგოთ.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ვახშამი.

ალ ზონ.

„ახალგაზრდა მარქსისტის“ განცხადება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ დაიბეჭდოთ შემდეგი გულწრფელი განცხადება:

საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დღემდი ვეწეოდი აქტიურ მუშაობას. დღეს ამგვარი მუშაობა მიზანშეუწონელათ მიმაჩნია,—თავს ვანებებ მას და ჩემს წმინდა მოვალეობათ ვთვლი ხელი შევუწყო არსებულ ხელისუფლების შემოქმედებითი მუშაობაში.

ახალგ მარქსისტთა ქუთაისის კომიტეტის ყოფ თავმჯდომარე:

ტრ. თოდრაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 3

5 იანვარი 1924 წ.

„პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა და უმუშევრობის დროს დახმარებათა ნორმების გამოანგარიშების შესახებ“.

დაზღვეულთათვის გასაცემი პენსიათა და დახმარებათა რეალურ ღირებულების დაცვის მიზნით და ამა დადგენილების გამოქვეყნებამდე აღნიშნულ დახმარებების გამოანგარიშების შესახებ არსებულ წესის შესაცვლელად ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი 1924 წ. იანვრისათვის აწესებს პენსიის და აგრეთვე დაზღვევის დამატებითი სახეთა უმუშევრობის დროს დახმარებათა შემდეგ რაოდენობას ჩერვონულ გამოანგარიშებით:

ბავშვის მოსავლელად მშობიარობა	10 მ. 50 კ.
ბავშვის საკვებად	2 მ. 70 კ.
დაზღვეულთა და მისი ოჯახის წევრთა დასამარხათ გარდაცვალებულის წლოვანებისდა მიუხედავად	10 მ. 50 კ.
1-ლი კატეგ. უმუშევართათვის	7 მ. 50 კ.
მე-2-ე „ „	5 მ. 25 კ.
1-ლი კატ. ინვალიდებისათვის	10 მ. 50 კ.
მე-2-ე „ „	7 მ. 50 კ.
მე-3-ე „ „	5 მ. 25 კ.

ოჯახისათვის, რომელმაც დაკარგა მარჩენალი და შესდგება:

ერთი შრ. უუნარ მოკლებ. წევრ.	3 მ. 75 კ.
ორი „ „ „	5 მ. 25 კ.
სამი „ „ „	7 მ. 25 კ.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ა. მიქაძე.

რესპ. სოცდაზღვევის სამმართველოს უფრ. მოადგილე: გოგიბერიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ტფ. მაზრის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილის იარაღთა აღმრიცხველი კომისია აცხადებს ს. კ. პ—ის და ს. კომ: ახალ. კავშირის ყველა წევრებისა და კანდიდატების სავალდებულო აღსასრულებლად, რომ სწარმოებს იარაღის აღრიცხვა. აღწერა გრძელდება: ა) სამხედრო-სასროლო იარაღისა, [illegible] იარაღისა, სამარი მოდელის ტიპებისა, ე. ი. ნიმუშები რუსეთისა და უცხოეთის არმიის შეიარაღებიდან გადმოღებული, ბ) ხრახნიანი რევოლვერები და დამბაჩები, რომლებიც თუმცა აღარ იხმარება რუსეთისა და უცხოეთის არმიათა შეიარაღებაში, მაგრამ თავდაცვის მიზნით კი ხმარებაში არის.

სავალდებულოა ყველას გამოცხადება იარაღით, პარტიული დისციპლინის წესით, დილის 9 | 1 საათამდე და ნაშუადღევის 3—6 საათამდე, კარლ მარქსის მოედანი, განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილთა ტფილისის ბატალიონის შტაბში.

პირველ და მეორე რაიკომებმა [illegible] გამოცხადდენ 11 იანვრამდე, ამ დღის ჩათვლით, მესამე და მეოთხე რაიკომებს კი—12 იანვრამდე, ამ დღის ჩათვლით

ის ამხანაგები, რომლებიც აღნიშნულ ვადაზე ვერ შესძლებენ გამოცხადებას რეგისტრაციაზე, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ 13 იანვარს დილის 9—12 საათამდე. ეს არის უკანასკნელი ვადა.

კომისია.

7 იანვარი. 1924 წ. ქ. ტფილისი.

— სამშაბათს, 8 იანვარს, საღამოს 7 საათზე. ფიზიკურ აუდიტორიაში დანიშნულია ამხ. ლენინის სახელობის სახ. პოლ. ინსტიტუტის ინჟენერ-სტუდენტთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. საინჟენერო ფაკულტეტების სამოსწავლო გეგმა—მოხსენება პროფ. ესსენისა.
2. მოხსენება პეტროგრადისა და მოსკოვის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლების შესახებ.
3. მიმდინარე საქმეები.

— საქ. ახ. კომ. კავშ. ტფ. კომიტეტი აუწყებს ქვემოხსენებულ ამხანაგებს: პატარაიას, კაკალიას, აბაშიძეს, მდივანს, ალამალიანს, ბელენკის, გავრიშს, [illegible], [illegible] [illegible], აკოფოვს რ. და პონამარევს, რომ ისინი მობილიზაციის წესით არიან მოწვეულნი იმ კ. ახ. კავშირის წევრ მოწაფეთა გამოსაცდელად, რომლებსაც არ გაუვლიათ პარტშემოწმება.

ამისათვის ზემოხსენებულ ამხანაგებს წინადადება ეძლევათ, საკავშირო დისციპლინის წესით, გამოცხადდნენ მე-2 საუბნო კომიტეტის კლუბში (ყოფილი მისიონერთა ეკლესია), ოთხშაბათს, 9 იანვარს, საღამოს 5 საათზე.

კ. ახ. კავშ. ტ. კომიტეტის მდივანი ლომიძე.

ტფ. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ალამალიანი.

განცხადებები

სახელმწიფო

ოპერა

1924 წელი

დღეს, 8 იანვარს

დაისი

ოთხშაბათს, 9 იანვარს **პიკის ქალი**

ხუთშაბათს, 10 იანვარს **ბოჰემა**

ნის. 818 4—3

ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სავალდებულო დადგენილება № 1

2 იანვარი 1924 წლ. ქ. ტფილისი.

ქალაქის და მაზრის ფარგლებში მოედნებზე და ბაზრებზე გასასყიდათ შემოტანილ ყოველგვარ სურსათ-სანოვაგე და საკვებ მასალის სწორ აწონვის და მომხმარებელთათვის სურსათ სანოვაგის პირველ ხელიდან შეძენის შესაძლებლობის შექმნის მიზნით, ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი ადგენს:

1. ვაჭრებს და შემყიდველთ (**Скупщик**) სასტიკად ეკრძალებათ ბაზრებზე და მოედნებზე გასასყიდლათ შემოტანილ სურსათ-სანოვაგის და საკვებ მასალის შუადღის 12 საათამდე ყიდვა.

2. აღნიშნულ სურსათ-სანოვაგის და საკვებ მასალის ქალაქის ქუჩებში ყიდვა-გაყიდვა სასტიკად აკრძალულია.

3. ქალაქის და მაზრის ფარგლებში მოედნებზე და ბაზრებზე გასაყიდათ შემოტანილი ყოველგვარ სურსათ-სანოვაგე და საკვები მასალა, რომლის წონით გაყიდვას მოისურვებს გამყიდველი, შეიძლება აიწონოს აღმასკომის სასწორებზე.

4. აწონვის ქირა დაწესდეს შემდეგი სახით: ა) ქალაქის ფარგლებში თვითეულ ფუთ თივა და ქერზე 1—ჩერვონეცის კაპეიკი და დანარჩენ საკვებ მასალის და სურსათ სანოვაგის თვითეულ ფუთზე 2 ჩერვონეცის კაპეიკი; ბ) მაზრის ფარგლებში არსებულ მოედნებზე და ბაზარზე თვითეულ ფუთ თივისა და ქერზე ნახევარი ჩერვონეცის კაპეიკი, ხოლო დანარჩენს საკვებ მასალის და სურსათ-სანოვაგის თვითეულ ფუთზე 1 ჩერვონეცის კაპეიკი.

5 მოვაჭრეებს და სხვა კერძო პირებს სასტიკად ეკრძალებათ ბაზარზე და მოედნებზე გასასყიდათ შემოტანილ სხვის საქონლის თავის სასწორზე აწონვა, ქირის გადახდევინებით.

6. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი ყოველ ცალკე შემთხვევაში, დაჯარიმებულ იქნებიან ასი ჩერვონის მანეთამდე ადმინისტრატიული წესით.

7. ამა სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნების დღიდან უქმდება ამ საგანზე გამოცემული სავალდებულო დადგენილება № 35.

თავმჯდომარე **ხუხიშვილი.**

მდივანი **თიკანაძე.** 1—1

დამატებითი § 1 სავალდებულო დადგენილება № 46

დეკემბრიდან ასე 1) გვიან ვაჭრობაზე გადასახადი გადახდება ყველა იმ სავაჭრო დაწესებულებების (რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, გარდა იმ დადგენილების მეორე მუხლის აღნიშნულ გამონაკლისთა) მეპატრონეთ, რომელნიც აწარმოებენ ვაჭრობის ნორმალურ დროს შემდეგ.

კრ. 827 1—1 **პრეზიდიუმი.**

თვითმშრომელ ხელოსნება ქალ ტფილისის და მის მ დამოებისას.

თანახმად სახალხო სოც. უზრუნველყოფის კომისარის ბრძანებისა თვითმშრომელ ხელოსანთა დელეგატთა კრებული და კომიტეტი დაშლილია და მის მაგიერ დანიშნულია დროებითი კომიტეტი რომელმაც დაადგინა:

1) მოახდინოს ახალი რეგისტრაცია საზოგადოების ყველა წევრებისა.

2) გაუქმებულ იქნას ყველა საწევრო წიგნაკები და დროებითი მოწმობები.

3) საზოგადოების ყველა წევრი მოვალეა გამოცხადდეს ახალ რეგისტრაციაზე.

4) პერერეგისტრაცია დაიწყება ა. წ. 8 იანვრიდან და მოხდება საზოგადოების კლუბში პლეხანოვის ქ. № 66 ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან.

1—1 № 828. დროებითი კომიტეტი

ტფილისის აღმასკომი

ამით აცხადებს, რომ ყველა მანდატები, როგორც ძველი შემადგენლობის მე-3-მე მოწვევის საბჭოს, აგრეთვე აღმასკომის წევრებისა

ითვლება გაუქმებულად

რწმუნებულების ვადის გათავების გამო.

გაუქმებულად ჩაითვალოს აგრეთვე დროებითი მანდატები, რომლებიც მიეცა ახალი შემადგენლობას (მე-4 ხე მოწვევის) ტფილისის საბჭოს. ამისათვის ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ტფილისის მე 3 მე მოწვევის საბჭოს და აღმასკომის ყველა წევრებს ძველი მანდატები ჩააბარონ აღმასკომის სამდივნოში (ოთახი № 5) ა/წ. 10 იანვრამდე. მე-4-ხე მოწვევის საბჭოს და აგრეთვე აღმასკომის ახალ შემადგენლობის წევრების მუდმივი მანდატების გაცემა სწარმოებს 5—საათიდან ვიდრე საღამოს 9 საათამდე ყოველ დღე კვირა უქმეების გარდა, სამდივნოში (ოთახი № 5). აქვე სწარმოებს აწერა საბჭოს წევრებისა სექციაში.

პრეზიდიუმი. ნის. 819—5—2

ქალ. ტფილისის ელექტრონისა მომწესრიგებელი სამმართველო

სთხოვს განურჩევლად ყველა აბონენტებს გაასწორონ ანგარიშები მათ მიერ დახარჯული ელექტრონის ენერგიისა, შემოიტანონ ფული და აგრეთვე შეიძინონ ახალი ბარათები 15 იანვრამდე ა. წ., რომლებიც არ შემოიტანენ ხსენებულ დრომდე ფულს და არ შეიძენენ ბარათებს ჩაითვლებიან როგორც თვითნებობით შეერთებულნი, და ამის გარდა იქნებიან გადაერთებულნი და შეუწყდებათ სინათლის მიცემა.

ელექტრონთა მომწესრიგებელ სამმართველოს გამგე აფანასიევი.

კრ 824 1—1

რაჭველ მოქალაქეთა საყურადღებოთ

რათა თავიდან აცილებულ იქნეს ის საგრძნობი ზარალი, რომელსაც იღებენ ფულის კურსის ცვალებადობით ერთის მხრით ტფილისში ჩამოსული რაჭველ მოქალაქენი და მეორეს მხრით, რაჭის კოოპერატივები ბონების გადაგზავნ-გადმოგზავნის გამო,

ცეკავშირის გამგეობა

ამით აცხადებს მათ საყურადღებოთ, რომ

ცეკავშირი იღებს რაჭველ მოქალაქეთაგან რაჭაში გადასაგზავნ ფულს

ბონებს) დღის კურსით იმ კოოპერატივის ანგარიშში, რომლის რაიონშიაც ფულის გამგზავნი ცხოვრობს. ამასთანავე ფულის შემომტანს მიეცემა ცეკავშირისაგან სათანადო საბუთი, რომლითაც ცეკავშირის სალაროში შეტანილი თანხა განაღდებულ იქნება დღის კურსის მიხედვით იმ კოოპერატივისაგან, რომლის ანგარიშშიაც იგი შეტანილია ცეკავშირში, ხოლო სამაგიეროთ კოოპერატივს აღნიშნულ ფულის ანგარიშში მიეცემა საქონელი ცეკავშირისაგან.

ცეკავშირის გამგეობა

ნის. № 823—2—2

ამინდი ამიერკავკასიაში

6 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში...8 გრ., ბათომში... 5 გრ., სამტრედიაში... 6 გრ., ქუთაისში...3 გრ. აჯამეთში...3 გრ., ჭიათურაში... 3 გრ., მუხრანში... 3 გრ., ბორჯომში... 3 გრ., სურამში... 1 გრ., ტფილისში... 4 გრ., ერევანი... 1 გრ., ბაქოში... 6 გრ. (წიფიდან, მუკუზანიდან—ველისციხიდან და სურამიდამ ცნობები არ არის მიღებული)

ღრუბლიანობა: ქუთაისში მოწმენდილია, იგივე სამტრედიაში, მცირე ღრუბლიანობა აჯამეთში და ჭიათურაში; ფოთში, ბათომში—უმნიშვნელო. ერევანში—ძლიერ მნიშვნელოვანი; დანარჩენ ადგილებში—სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ზომიერი; აჯამეთში—ამავე მიმართულების, ძლიერი. ქუთაისში—აღმოსავლეთის, გრიგალი. ბათომში—სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთის, მსუბუქი. ბაქოში—სამხრეთის, ნელი. დანარჩენ ადგილებში სიწყნარე.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ბათომში, ბაქოში, ლენქორანში—[illegible].

ამინდი საქართველოში.

[illegible] ღრუბლიანობა, დასავლეთ-საქართველოში—თბილა, აღმოსავლეთში ალაგ-ალაგ ჰყინავს ძლიერი ქარი მდ. რიონის ხეობაში.

ჩრდილოეთ კავკასია.

6 იანვარი. დილის 7 საათი.

კავკასი. ტემპერატურა:—2 გრ., სრული ღრუბლიანობა, ქარი არ ქრის

კიზლიარი. ტემპერატურა: 0 გრ., მოღრუბლულია, ნელი აღმოსავლეთის ქარი.

ტფილისი

7 იანვარი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 7 გრ., საგრძნობი ღრუბლიანობა, ქრის. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

საქართველოს ს. ს. რ. განათლების კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს 10 იანვარს დილის 11 საათზე, კომისარიატის სადგომში, ოთახში № 25 (ლორის-მელიქოვის ქ. № 5) ხელმეორედ დანიშნულია

საჯარო სიტყვიერი შეჯიბრება

კომისარიატის საბავშვო დაწესებულებათათვის (ტფილისში) 1924 წლის განმავლობაში ხორცის მიწოდების (18—20 ფუთამდე ყოველდღე) უფლების იჯარით გაცემის შესახებ. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ უნდა წარმოადგინონ შეჯიბრების დღისათვის საწინდარი—30 ჩერვონცამდე, ან სიმტკიცის სიგელი უძრავ ქონებაზე, შემოწმებული ტფილისის ნოტარიუსისგან.

პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე 12 დან—3 საათამდე, განათლების კომისარიატის განმანაწილებელ განყოფილებაში. 358 2—2

გამოვიდა და იყიდება ყველა კიოსკებში და ჟურნალ-გაზეთების გამყიდველებთან როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ს გამოცემა-ალბომი

„1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას“.

ალბომი დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 92 გვერდს და მოთავსებულია შიგ სურათები, მოგონებანი და ბიოგრაფიები 88 დაღუპული რევოლიუციონერის შესახებ.

შინაარსი:

(სურათები, მოგონებები, ბიოგრაფიები)

1) მკითხველებს, 2) დაღუპულ რევოლიუციონერთა სურათ—ჯგუფი, 3) ნინოშვილი ეგნატე, 4) კეცხოველი ლადო, 5) წულუკიძე საშა, 6) ხოდრიშვილი ზაქრო, 7) მონტინი პეტრე, 8) სპანდარიანი სურენ, 9) ბოჭორიძე მიხო, 10) დავიდოვი მიშა, 11) თელია გიორგი, 12) გელდევეს ასული ფაცია, 13) კალანდაძე ვანო, 14) ლომინაძე ელისე, 15) ცინცაძე იესე (პეტრე), 16) ჯუღელი გიგო, 17) კალანდაძე ბესარიონ, 18) კნუნიანი ბოგდან, 19) სტურუა ვასო, 20) ჯუღელი სევერიანე, 21) მეგრელიძე იასონ, 22) ჯაფარიძე არ[illegible], 23) ლომთათიძე პოლი, 24) კალაძე მიხა, 25) [illegible] კოსტე, 26) ებრალიძე იოსებ, 27) [illegible] [illegible], 28) კუჩუევი მიშა, 29) სულხანიშვილი კოლია, 30) [illegible]ნაძე მიხა, 31) შევარდნაძე დათიკო, 32) იმნაიშვილი გერმანე, 33) გორდეზიანი აკაკი, 34) ინწკირველი ვანო (სტეპკო), 35) ჯორჯიაშვილი არსენ, 36) თელაკვაძე პანტელეიმონ, 37) პიშკინის ასული ალექსანდრა (შურა), 38) ქვლივიძე ილიკო (ზაქრო), 39) ლორთქიფანიძე კოლია, 40) რედაქციისაგან, 41) ნინიძე იპოლიტე, 42) მინდიაშვილი ნიკა, 43) ელიავა გიორგი, 44) ბურჭულაძე ს, 45) ვასერის და მარცვალოვის ხსოვნას 46) პაპიაშვილი ილიკო, 47) კალანდაძე ჰიჭიკო, 48) მერკვილაძე ეფრასიონ, 49) დუმბაძე ვასო, ბაქრაძე ვალიკო, 50) ივანიძე სილოვან, 51) მიქატაძე ლუარსაბ, 52) ვადაჭკორია ასლან, 53) კალაძე გერონტი, 54) მამაცოვი გარსო, 55) ლეჟავა პროკოფი, 56) არავიაშვილი იოსებ, 57) ელიავა ესტატე, 58) მაღრაძე თედო, 59) ხირსელი გიორგი, 60) გულდედავა დომენტი, 61) თევრაძე ვასო, 62) მეტრეველი გლახუა, 63—88) მაღრაძე გ., ხომერიკი გ., შავიძე ი., რევაზიშვილი დ., ბერიძე ა., შველიძე თ., კაკრიაშვილი თ., ჰუმბურიძე ი., ჰუმბურიძე ს., მიქაბერიძე პ., ხვანიძე ი., არჩვაძე დ., გაჩეჩილაძე ლ., ტაბატაძე ი., გაჩეჩილაძე გ., ფირცხალაძე კ., პოპორიშვილი კ., ოდიშაშვილი კ., ზარიძე მ., ჯანაშვილი ქ.

ს. კ. პ. ცეკას გამომცემლობა.

(4—3) უფ.

სახალხო მოსამართლე ქ. ტფილისის მე-3 უბნისა

იწვევს არსენ გეორგბეკიანს აღნიშნულ უბნის სახალხო სასამართლოში თავის მისამართის საჩვენებლად ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა საქმეზედ **აშოტ ამარონიანცის** ძიების გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოსაწვევი უწყება მის სახელობაზედ დატოვებული იქნება სასამართლოს კანცელარიაში ჩაითვლება ჩაბარებულათ და თვით საქმე კი განხილულ იქნება [illegible].

სახალხო მოსამართლე ნ. [illegible].

1—1 № 359.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23. ღარიბებს უფასოთ. 25—4

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 308—25—10

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible] დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, [illegible] ქ. № 20. (126—25—16)

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 10423 ბაიაზო მალზანას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 365 1—1

დაიკარგა რეგისტრაციის ქაღალდი № 193 და პასპორტი № 83 მუშა ბუზიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 311 1—1

დაიკარგა ბანის წიგნი, მე-5 უბნის დახურული ბაზრის ქუჩაზედ № 7, გორეშვილის სახლისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 363—1—1

[illegible] „[illegible]“ სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა №